საერთო საქმე

№3 (553) • 5 თებერვალი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მალე გაირკვევა, **რა უნდათ ამერიკელებს?** არადა, ცხადია, რომ მათ რაღაც უფრო მეტი უნდათ, ვიდრე პროპორციული არჩევნებია...

ვინ ხართ თქვენ, მისტერ რობინ – შეპარდი, თუ სუსლოვის კლონი?

პასუხი „ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის“ ვიცე-პრეზიდენტ რობინ შეპარდს!

მამა ბასილ მკალავიშვილი



საქართველო გადარჩება, რადგან, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ჩვენ მკერდზე დავიდგით ქრისტიანობის საყდარი

ვითხოვ: საქართველოს პრეზიდენტის ბატონი ზვიადისა და მის თანმხლებ პირთა გადარჩენისათვის, მფრინავ ზაურ ბედიას საქართველოს გმირის წოდება მიენიჭოს

თქვე ცნობილო ავაზაკებო, ლავროვს არ შემოვუშვებთო, რომ გაიძახით, თქვენ არ შემოუშვით 2008-ში და აგერ, თბილისიდან **40 კილომეტრში** არ დგას ტანკით?

„ბოროტები“ და „იდეალისტი“ ჟორიკა

თორაძეების ოჯახი, რომელიც 90-იან წლებში „ბოროტებმა“ ამოწყვიტეს.

ღია წერილი ამერიკელ კონგრესმენებს

ჰეი, თქვენ, მისტერებო!

მას შემდეგ, რაც „შმინგინ-ზერმა“ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სისულელეებით დატენილი პირველი წერილი გამოუგზავნა და „შმონოლმაც“ დაუდასტურა, გვეგონა, საკმარისი იქნებოდა... გვეგონა, მეტს აღარ იზამდით... გვეგონა, მიხვდებოდით, რა ტლაპოიან გზას დაადექით, მაგრამ შევცდით, თქვენ ერთმანეთისგან გადაწერეთ, ანუ ერთმანეთისგან გადააქსეროქსეთ და კვლავაც განაგრძეთ გამოგზავნა.

თქვენ ამტკიცებთ, საქართველოში დემოკრატია აღარ არიო, ქართველი ხალხის კეთილდღეობა და ნათელი მომავალი საფრთხეშიაო. კი, მაგრამ საიდან მოგელანდათ ამნაირი სისულელე? დღეს რომ საქართველოში დემოკრატიაა, მსგავსი არ დაგესიზმრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი. მანდ, თქვენს წერილებში აღნიშნავთ, ხელისუფლებამ ძალისმიერი მეთოდებით ჩაახშო მშვიდობიანი დემონსტრანტებიო. ერთი ეგენი იყვნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები და მეორე კიდევ სააკაშვილის დემოკრატიის შუქურა. სიტყვა „ჩახშობაც“ უადგილოდ გაქვთ ნახსენები, რადგან თბილი წყლით აგრესიული და დამნაშავე მომიტინგეების დაშლა ჯერაც არ სმენია კაცობრიობას. აბა, ერთი კონგრესში მოგადგნენ ამნაირი მშვიდობიანი წუპაკები, რომელი გადარჩება ცოცხალი, იმასაც ვნახავთ. მისტერებო, იქნებ განგვიმარტოთ, თქვენი კაბინეტები ვინმემ რომ „დაგიბოქლომოთ“, როგორი რეაქცია გექნებათ, ხომ არ გადაიყვანთ ამის გამკეთებლებს ფედერალურ ბიუროში და ხომ არ გაამწესებთ ეგრევე ციხეში? დარწმუნებულნი ვართ, ასე მოიქცევით და ამ ადამიანებს რუსეთის ჯაშუშების იარლიყებსაც მიაკერებთ. არადა, კაცმა რომ თქვას, თქვენ უფრო იქცევით რუსეთის ჯაშუშებივით. დიახ, ამ წერილებით სწორედაც ვლადიმერ პუტინის წისქვილზე ასხამთ წყალს და საქართველოში აღვივებთ ანტიამერიკულ კამპანიას. ვინაიდან, ეს ძალიან სათუთი და სახიფათო თემაა, ქვემოთ უფრო დეტალურად მოგახსენებთ.

კიდევ ერთი არგაგონილი სისულელე, როდესაც თაღლით „ფრონტერას“ მხარს უჭერთ, ანუ ანგარებით ლობირებთ, ამავე დროს „ამტკიცებთ“, რუსმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ქართული ნავთობი ვლადიმერ პუტინს ჩაუგდო ხელში, ახლა ამ სფეროს რუსები აკონტროლებენო. აი, სიტყვები არ გვყოფნის, რათა შესაბამისად გიპასუხოთ, თქვე უვიცებო, სად აქვს საქართველოს ან ნავთობი, ან გაზი, ან კიდევ ოქროს საბადოები, რომელიც ასერიგად გიტაცებთ საუკუნეების განმავლობაში? ისა და... თქვენ ინდიელებში ხომ არ გეშლებით? სხვათა შორის, საქართველოში დღემდე არსებობდა ლეგენდა თქვენი ყოვლისმცოდნეობის შესახებ, 30 წლის განმავლობაში გვესმოდა: „ამერიკელებმა ყველაფერი იციან“, ამერიკელები ჩვენზე მეტ ინფორმაციას ფლობენ“, „ამერიკელებს დავუჯეროთ, ყველაზე ჭკვიანები არიან“, თურმე საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. აბა, ის რომ არ გეცოდინებათ, საქართველოს ნავთობი აქვს თუ არა, სხვა რაღა მოგკითხოთ? კარგად დაიმახსოვრეთ, ჩვენ გვაქვს ღვინო, არაყი, ხინკალი, ხაჭაპური, ხაშლამა, აჯიკა, ციტრუსი, „ბორჯომი“, ცივად მოხარშული დედალი, ჭყინტი ყველი, ცეკვა და სიმღერა. აქედან დღემდე არც ერთი არ გადაგვიცია რუსებისთვის... თუმცა არის ერთი უხერხული მომენტი, ე.წ. ოპოზიციონერი, ნომერი პირველი მევახშე რომ გამოდის ხოლმე და ქართველთა გაჭირვებისა გამო „ტირის“, მაგან მიჰყიდა „ბორჯომი“ რუსებს. მამუკა ჰქვია მაგ ტიპს და ხაზარაძეა გვარად. ახლა ეს ტიპი, რაც ანაკლიის პორტის მშენებლობაში „დარმავოი“ ფულის კეთების საშუალება არ მისცეს, დადის (როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე) ანა-ანა და ამტკიცებს, ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქიაო. არადა, ბანკში ხაზარაძის მიერ გაჭედილ-გაღატაკებულ, სახლებიდან გამოყრილ ხალხს, 600 ათას მოქალაქეს ბიძინა ივანიშვილმა გადაუხადა ვალები და გამოიხსნა იგივე ხაზარაძის კლანჭებიდან. დიახ, თქვენ რომ მიედ-მოედებით, არც ეგრეა საქმე, მისტერებო!





თქვენ იმასაც ამტკიცებთ, რომ თურმე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არის საშინელება, ხოლო პროპორციული არის ნათელი მომავლის გარანტია.

ჯერ ერთი, თქვენ ვინ გეკითხებათ, ჩვენს დამოუკიდებელ ქვეყანაში არჩევნებს რა სისტემით ჩავატარებთ და მეორეც – აშუშუში რომ მთლიანად მაჟორიტარული სისტემა გაქვთ, ამას რატომ არ აპროტესტებთ?!

დიახ, თუ გინდათ, რომ სრულ ბედნიერებაში იცხოვროთ, უახლოეს ხანში უნდა გადახვიდეთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და ისე შელაგდეთ კონგრესსა თუ სენატში, სხვანაირად არ გამოვა. ვიცით, რა მუცლის გვრემაც გაწუხებთ – ფული, ბაბაია, ფული!

ნეტავ რა ფულზეაო ლაპარაკი? იკითხავს ჩვენი მკითხველი, ვისაც გაზეთის წინა ნომერი არ უნახავს და ამიტომაც თქვენი თაღლითობის შესახებ ზოგიერთ დეტალს (მცირეს) გავიმეორებთ, ხოლო დანარჩენს დავამატებთ. ამ საქმეში კი ისევ ანალიტიკოსი გია აბაშიძე დაგვეხმარება, სწორედ მან მოიძია არაერთი ინფორმაცია თქვენი თაღლითობის თაობაზე: მაშ ასე, მისტერ ოლსონ თუ შმოლსონ, ერთი ნაბიჯით წინ იარ! როგორც მაიამის საკრებულოს წევრი მართა ბუენო სოცქსელში წერს, თქვენ ბრალი გედებათ კორუფციაში:

„კონგრესმენი პიტ ოლსონი ძალიან კორუმპირებული და იაფფასანია! გსურთ იცოდეთ, რას იზამს ის 5700 დოლარად? ის იტყვის ტყუილს. რას ჰგავს კორუფცია? კონგრესმენი ოლსონი ამის ცოცხალი განსახიერებაა, ის კომპანია "ფრონტერასგან" ფულს იღებს და შემდეგ სიტყვით გამოდის, ყველაფერს სულ რაღაც 5700 დოლარის დონაციისთვის აკეთებს“.

მისტერ ოლსონ თუ შმოლსონ, თქვენ თავს იმის უფლებაც კი მიეცით, ბიძინა ივანიშვილისთვის ვლადიმერ პუტინის მარიონეტი გეწოდებინათ. მეტიც, ის ტელესერიალ – "სეზამის ქუჩის" მარიონეტ თოჯინას შეადარეთ და უცხოურ ინვესტიციებზე თავდასხმაში დაადანაშაულეთ. ამის შემდეგ კი უვიცობა გამოამჟღავნეთ და წამოაყრანტალეთ, რუსეთის პრეზიდენტი ბედნიერია იმით, რომ საქართველოს რესურსებს, ანუ ნავთობს აკონტროლებსო. ამის შემდეგ კი მთლად აიწყვიტეთ და კონგრესში საპროტესტო გამოსვლების ამსახველი ფოტო გამოფინეთ და ყველას ე.წ. აქტივისტების მხარდაჭერისკენ მოუწოდეთ.თურმე ივანიშვილმა, რომლის გვარიც ძლივს წაიკითხეთ (ეტყობა, მსხვილი შრიფტით ვერ დაგიწერეს), გაანადგურა საქართველოს ეკონომიკა, გათელა ადამიანის უფლებები და ხელი შეუშალა ქვეყანაში ამერიკული ინვესტიციების შემოსვლას. თურმე „ფრონტერა“ საქართველოში წლების განმავლობაში მუშაობდა, ქმნიდა სამუშაო ადგილებს საქართველოში და ახლა, როცა თაღლითობაში გამოიჭირეს, დაგვერხა, მორჩა, დავიღუპეთ. ოლსონ, თქვენ შარშან „ფრონტერამ“ 57 ათასი დოლარი ჩაგირიცხათ ანგარიშზე და ამიტომაც ლაპარაკობთ აცაბაცა. ეს არის ქრთამი სულელური განცხადებების სანაცვლოდ, რომელიც აიღეთ თაღლითებისგან!

იცით, „ფრონტერას“ თაღლითობის არსი რაში მდგომარეობს? ჯერ ერთი, ტყუილად ბურღეს ტარიბანაში (დედოფლისწყარო) მიწა, ხან ტრილიონობით ბარელი ნავთობი „აღმოაჩინეს“, ხან კიდევ ტრილიონობით კუბმეტრი გაზი. ხალხი ვირებივით ამუშავეს, ძაან მაგრად იხმარეს, ბოლოს კი გამოუცხადეს, ფული გაგვითავდა, ვერ მოგცემთო. ზოგს უთხრეს, შეიძლება ოდესმე მოგცეთო. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შარშანწინ დაზარალებულებს პირადად ვურჩიე, სასამართლოში წადით-მეთქი. არაო, რომ ვუჩივლოთ, შეიძლება საერთოდ

5 გვ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აბლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ბევრი მოსკოვი ერთად და უთავო მხედრები

იყო დრო, ერთ ცენტრს, ერთ მოსკოვს ვექვემდებარებოდით და ასე თუ ისე ზუსტად ვიცოდით, რისი უფლება გვქონდა და რისი არა, მაგრამ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ იმდენი ახალი მოსკოვი გამოგვიჩნდა, რამსები აგვერია.

ძველი მოსკოვია და ისევ ისე მოსკოვობს ჩვენთვის, როგორც ადრე მოსკოვობდა. ამ მოსკოვს ახლა ახალი მოსკოვებიც დაემატა და ამდენ მოსკოვებში ნამეტანი გავიხლართეთ და გავიბლანდეთ.

იმ ქალბატონს დავემსგავსეთ, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ქმარი ჰყავს, ზოგი ოფიციალური, ზოგი არაოფიციალური და უარს ვერც ერთს ვერ ეუბნება, რადგან ყველასთან რაღაც ვალდებულება აკავშირებს.

ზოგჯერ ეს ქმრები ერთმანეთს უპირისპირდებიან — არა ჩემია ეს მშვენიერი ქალბატონი და არა ჩემიო, თუმცა უფრო ხშირად საქმეში ნათესავებს, პოლიტიკურ დეიდაშვილ-მამიდაშვილებს, პოლიტიკურ მოჯამაგირეებად დაქირავებულ წვრილფეხობას ჩართავენ ხოლმე და კონკურენტებს მიუსევენ.

— თქვე პუტინის მონებო! — სკანდირებენ დაქირავებული „პროტესტანტები“, თუმცა იმას არ ამხელენ, რომ თვითონაც მონები არიან და თავიანთი ბატონების დავალებებს ასრულებენ.

ახლახან გახარიას მიუვარდნენ — როგორ გაბედე და როგორ თქვი: თუ საჭირო იქნება, მწვავე კითხვებზე მწვავე პასუხებს გავცემთო. ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორზე ამბობ მაგას, ჩვენს მამა-მარჩენალზეო?

არ უთქვამს ეს სიტყვები გახარიას სტრატეგიულ პარტნიორზე, ცალკეული კონგრესმენების მისამართით თქვა, რომლებიც დაუკრეფავში გადავიდნენ და პირდაპირ სააკაშვილ-ბოკერია-უგულავა-ნათელაშვილის ფრაზებით გველაპარაკებიან და თან გვარწმუნებენ — ეს მთელი აშშ-ს კონგრესის აზრიაო.

პარლამენტთან შეუთანხმებლად, ჩუმად და მალულად, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე წევრმა, კრიტიკული წერილები რომ უგზავნოს აშშ-ს ადმინისტრაციას, ცხადია, ეს მთლიანად საქართველოს პარლამენტის პოზიციად არ ჩაითვლება, თუმცა ქართული ოპოზიცია, რომელიც უკანალის ქიცინით და აშკარად მონური პრანჭვა-გრეხვით ასაღებს თავს პროდასავლურ ძალად, ამტკიცებს, რომ ეს რამდენიმე ადამიანი მთელი კონგრესის და მთელი სენატის აზრს გამოხატავს.

„ქართული ოცნებისთვის“ მონური მიდრეკილებები არ შემიმჩნევია, მაგრამ ესენი, ეს ვითომ ოპოზიცია, ნამდვილი მონები არიან, რომელთა უმრავლესობას პროდასავლურობის „ბირკა“ კი აქვთ ზურგზე მიწებებული, მაგრამ, ეს ისეთი „ბირკაა“, მედალივით ორი მხარე რომ აქვს — წინა მხარეზე დასავლეთი აწერია, უკანა მხარეს კი „მადენ რაშა“.

როგორც დასაწყისში ვთქვი, ძველი მოსკოვი ისევ მოსკოვობს (ტერიტორიის 20 პროცენტი, ქართული ეკონომიკის მთავარი ბერკეტები „ნაცებმა“ უფეშქაშეს და იმოსკოვებს, აბა, რა იქნება).

მოსკოვს დამატებული სხვა „მოსკოვები“ ბრიუსელში, ვაშინგტონში, სტრასბურგში, ჰაგაში.

„მოსკოვებია“ — მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, სხვადასხვა ფონდები. „მოსკოვებია“ — აირაი, ენდიაი, ჰუმან რაიტ ვოტჩი, ფრიდონ ჰაუსი, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები შინ და გარეთ. „მოსკოვებია“ ცალკეული პერსონები ამერიკის კონგრესიდან, სენატიდან, ეუთოდან, გაეროდან, ევროსაბჭოდან, ევროპარლამენტიდან.

ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენ გვარიგებს ჭკუას, ყველა ჩვენ გვასწავლის როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა ვიაზროვნოთ.

— ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო, — დაგვიბარა ლელთ ღუნიამ, მაგრამ ამდენ გაწამაწიასა და აქეთ-იქით წყვეტებაში საკუთარი თავი სადღაც დავკარგეთ და რა ვქნათ, გოგრას ხომ არ დავიყუდებთ მხრებზე თავის ნაცვლად.

უთავო მხედრები, რომლებიც უთავბოლოდ დაბორიალობენ ერთი მოსკოვიდან მეორე მოსკოვამდე, მეორედან მესამემდე, მესამედან მეოთხემდე და დაკარგულ თავს ეძებენ.

გამოხატვის თავისუფლება ანუ სად იძლევიან ცნობას, რომ აქლემი არ ხარ?

მოხდა ისე, რომ ნიკუტა გვარამიას და ლევან ხაბეიშვილს ერთმანეთის მიყოლებით „ჩაუსინიაკეს“ თვალები ვიღაც მუშტმადლიანებმა.

მომხდარში ორივე სხვას ადანაშაულებს — ხაბეიშვილი კახა კალაძეს, გვარამია — გია ვოლსკის.

არადა, ან ერთს, ან მეორეს კაცობა და ვაჟკაცობა რომ ჰქონდეთ, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რაც მოუვიდათ, თუმცა არის კიდევ ერთი მთავარი „დამნაშავე“ — გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ლამის არის, წმინდა-წმინდა, ხელშეუხებელ ღირებულებად გამოცხადდეს.

სიტვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება მართლაც უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ღირებულებაა, მაგრამ ყველაფერს, მათ შორის ამ უძვირფასეს მონაპოვარსაც, თავისი ნორმა და საზღვარი ჭირდება, თორემ ის, რაც დიდი სიკეთეა, შეიძლება ბოროტი ძალების ხელში დიდ ბოროტებად იქცეს.

სამწუხაროდ, კაცობრიობა მხოლოდ კეთილშობილი, მაღალზნეობრივი ადამიანებისგან არ შედგება. დასაბამიდან დღემდე სამყაროში კეთილსა და ბოროტს შორის დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომია და ამ ომში სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება ისეთ დამანგრეველ იარაღად იქცეს, რომ სიკეთისგან ბევრი არაფერი დარჩეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, იქ, სადაც იშვა ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, უკვე დაიწყეს ფიქრი იმაზე, ხომ არ საჭიროებს გარკვეულ კორექტივებს ამ დეკლარაციის ზოგიერთი პუნქტი?

არა მარტო ამერიკაში, არამედ სხვაგანაც უკვე სერიოზული დებატები იმართება იმის შესახებ, სიკეთე უფრო მეტი მოაქვს სიტყვის თავისუფლებას და გამოხატვის თავისუფლებას საზოგადოებისთვის თუ ზიანი?

სად უნდა გაივლოს წითელი ხაზები, რომ გამოხატვის თავისუფლება იმ მონსტრად არ იქცეს, რომელიც ადამიანებს სულიერად და ფიზიკურად ანადგურებს.

ყველას გვახსოვს ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც საფრანგეთში მოხდა და რომელსაც „შარლ ებდოს“ რამდენიმე თანამშრომლის სიცოცხლე შეეწირა.

ღმერთმა დაიფაროს საქართველო მსგავსი ტრაგედიისაგან, თუმცა ჩვენს შუბლისძარღვგაწყვეტილ და სინდის-ნამუსისგან დაცლილ პოლიტიკოსთა ერთ ნაწილს და მათ მიერ დაქირავებულ „შპანას“ რომ ვუყურებ და მათი ულაგამო ენის ჭარტალს რომ ვუსმენ, არაფრისგან არ ვართ დაზღვეულები.

ჯერ-ჯერობით რამდენიმე „ფანარით“, რამდენიმე პანღურით რამდენიმე სილაქით და რამდენიმე გაბზარული ნეკნით გადავრჩით, მაგრამ არ არის გამორიცხული, ვიღაცას მოთმინების ფიალა აევსოს და, გამოხატვის თავისუფლების ლოზუნგს ამოფარებულ პროვოკატორს და ავანტურისტს უფრო მკაცრი პასუხი გასცეს, ვიდრე გასილაქება და უპის ჩაფანარებაა.

არა მარტო ტყვია, სიტყვაც კლავს...

როგორც ჩანს, ეს გამორჩათ გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების დებულებათა ავტორებს.

თუმცა იქნებ არც გამორჩათ?

თუ ვინმემ აქლემი გიწოდათ და თავი შეურაცხყოფილად იგრძენით, მუშტების ქნევა კი არ უნდა დაიწყოთ, სასამართლოს უნდა მიმართოთ, თუმცა იქ ერთ უცნაურ ამბავს აღმოაჩენთ: ვინც აქლემი გიწოდათ იმან კი არა თქვენ უნდა წარადგინოთ ცნობა, რომ აქლემი არ ხართ.

სად იძლევიან ასეთ ცნობას, მოსამართლე, ცხადია, ვერ გეტყვით და არც არის ვალდებული გითხრათ: ის, უბრალოდ, გამოხატვის თავისუფლების წმინდაწმინდა კანონს იცავს, თუმცა ვინ დაიცავს აქლემობაში დადანაშაულებულ მოქალაქეს, ეს ჯერჯერობით უცნობია.

ვახტანგ ხარჩილავა

ქართული დელეგაციის ვიზიტით გაირკვევა, რა უნდათ ამერიკელებს? არადა, ცხადია, რომ მათ რაღაც უფრო მეტი უნდათ, ვიდრე პროპორციული არჩევნებია...

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, კონგრესმენებმა გახარიას აღშფოთებით სავსე წერილი გამოუგზავნეს. ჩვენი ქვეყნის ბედი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში წყდებოდა. გამოგვიგზავნეს მკაცრი წერილი. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?

— დიახ, ყველა ჩვენს საქმეში ერევა, თუმცა, როგორც თქვენც აღნიშნეთ: ეს ახალი მოვლენა არ არის. პატარა ქვეყანა ვიყავით და გვერეოდნენ. ახლაც პატარა ქვეყანა ვართ და ჩარევის სურვილი გასაკვირი არ არის. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, ჩნდება კითხვა: რა მოხდა, რას მივაწეროთ ასეთი ქარბუქის ამოვარდნა. კითხვები მეც გამიჩნდა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ქართული დელეგაცია მალე ამერიკაში მიემგზავრება. ასეთი ვიზიტები კი თვეებით ადრე მზადდება. ასე, რომ ამერიკული ელიტა დაინტერესების შემთხვევაში ან ინფორმაციას ადვილად მოიპოვებდა. შეკითხვები რაც წერილში გაჟღერდა, ხომ შეიძლებოდა ქართულ დელეგაციასთან ადგილზე განეხილათ. რატომ მოიქცნენ ასე? რატომ გახსნეს წინასწარ ცეცხლი, აბსოლუტურად, გაუგებარია, თუმცა, ამასაც თავისი ახსნა აქვს: კონგრესმენები შემთხვევით როდი გვიტევენ. ვფიქრობ, ეს შეტევა სწორედ ქართველების ამერიკაში ვიზიტთან არის დაკავშირებული. ქართული ემიგრაციის ვიზიტი ამერიკაში, ბუნებრივია, დიპლომატიურ მაგიდასთან გაიმართება, სადაც ამერიკელები თავიანთ საკითხებს გამოიტანენ. ვვარაუდობ, რომ ეს თემები, ძირითადად, ანაკლიის პორტთან იქნება დაკავშირებული. ახალდანიშნული ელჩი პოლიტიკურ და საზღვაო-სამხედრო საკითხებში მაღალი რანგის პროფესიონალია და სავადაუდოა, რომ ამერიკის ინტერესი საქართველოს მიმართ სწორედ ამ მიმართულებით მიდის. თუკი ამერიკას მართლაც ეს სურს, დიპლომატიურ მაგიდასთან ამ ინტერესის დაცვას შეეცდება. ჩემი აზრით, აღნიშნული წერილი წინასწარი ფსიქოლოგიური შტურმი იყო, რათა ქართული მხარე მოლაპარაკებებში უფრო დამთმობი გაეხადათ. კომერციულ და პოლიტიკურ მოლაპარაკებების დროს არსებობს ასეთი ხერხი — ერთი მხარე მეორეს წინასწარ მიჯირყვნის, რათა ეს უკანასკნელი უფრო დამთმობი გახდეს. ეს სცენარი სწორედ ამისთვის გაითამაშეს. ქართულ მხარეს უნდა ეგრძნო სუსხი, სიმწვავე, რათა მოლაპარაკებების დროს თავის მართლების რეჟიმში ყოფილიყო და ამერიკული მხარის მიერ მოწოდებული თემისთვის ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭებინა. არავინ იცის რა თემას შემოაგდებს ამერიკული მხარე. ეს შეიძლება იყოს შემდეგი: ანაკლიის პროექტი მთლიანად საქართველომ დააფინანსოს. ის პოზიცია, რაც საქართველოს 2012 წლის მერე უკავია ანუ, ქვეყანა საჯილდაო ქვად და რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირებების არენად არ უნდა იქცეს. ეს, შეიძლება, ამ ეტაპზე ამერიკულ მხარეს ანაკლიის თემასთან კავშირში აღარ აწყობდეს და აქ, მზადებოდეს შეტევა.

— გამოდის, კონგრესმენების შემოტევის ძაღლის თავი ანაკლიის პორტში მარხია?

— მგონი კი, სხვაგვარად სრულიად გაუგებარია ასეთი სერიოზული ხალხი ერთი კვირა რატომ არ იცდის, რათა პირისპირ დაელაპარაკოს მათ, ვისაც ასეთ ლამის გამანადგურებელ წერილებს უგზავნის.

— ანაკლიის თემა გასაგებია, მაგრამ რატომ არ გამოიჩინეს კონგრესმენებმა ასეთი ოპერატიულობა 2012 წლამდე, ცოტა აღსაშფოთებელი ხდებოდა ქვეყანაში? მაშინ არავის უვიშვიშია ქვეყანა იღუპებაო.

— მაშინ კონგრესმენები დუმდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება აწყობდათ. მკვეთრად ავტორიტარული აზიური რეჟიმები, რომელიც მერე, ე.წ. არაბული გაზაფხულის პერიოდში რევოლუციებით თავად შეცვალეს, ამერიკის მფარველობის ქვეშ არ იყვნენ? განა, ამერიკული, კერძოდ, რეიგანის ფრაზა არ არის: ის მამაძაღლია, მაგრამ ჩვენი მამაძაღლიაო. ასე, რომ პოლიტიკას თავისი ლოგიკა აქვს. ჩვენ, რომანტიულად დაწერილი პოლიტიკა გვინდა. გაიძახიან დემოკრატიის დასაცავად ვიბრძვითო. სხვა მოტივი ამ სახელმწიფოებს, აშკარად, არ ამოძრავებთ. ვისაც ჩვენ პირზე კოცნით ვხვდებით და ვესალმებით, იმ ღირებულებებს აკმაყოფილებს, რაც ჩვენ გვინდა? — არა, მაგრამ მაინც პირზე კოცნით ვხვდებით, ხომ. ღირებულებები ღირებულებებად რჩება, პრაგმატული ინტერესები კი თავისას შვება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მტრად გადაკიდება მოგვიწევს. ასე, რომ ნუ ვიქნებით ძალიან რომანტიულები და აქცენტი იმაზე გავაკეთოთ, რაც რეალობასთან ახლოსაა — შენ, თუკი სხვისთვის მნიშვნელოვანი იქნები, იგი, ყურადღებას მოგაქცევს. 90-იან წლებში საქართველო საერთოდ ინგრეოდა და ყურადღება არავის მოუქცევია. ჩვენ, ყურადღების ცენტრში მას მერე მოვხვდით, რაც ნავთობსადენი გაკეთდა. ასე, რომ პირველყოვლისა, პრაგმატული ინტერესი. აი, ამით უნდა გახდე საჭირო და მერე, რა თქმა უნდა, დემოკრატიასაც ექნება მნიშვნელობა. საკვანძო ფაქტორი პრაგმატული ინტერესია.

— ახლა, ახსენეთ, ამერიკა თვლიდა, რომ საკაშვილი აწყობდაო. მიშას ჰყავდა ლობისტები, ვისაც მხარდაჭერაში ფულს უხდიდა. ეს იგივე ქრთამის მიცემა გამოდის?

— ნუ, ადრე მიღებული იყო ძღვენი და ეს უარყოფით სიტყვად არ განიხილებოდა. გააჩნია რომელი ცივილიზაციის ჭრილში შეხედავ. საბჭოთა ცივილიზაციის ჭრილში ქრთამი უარყოფითი სიტყვასთან ასოცირდებოდა, აზიური ქვეყნებისთვის კი — არა. ჩამოყალიბდა ამერიკული კულტურა, რომელმაც ეს ელემენტი შემოიტანა — ჩემი ინტერესებისთვის ვიღაც უნდა იბრძოდეს და მე, ამაში ფული უნდა გადავუხადო.

— ანუ, ფული მომეცი და შენი ლობისტი გავხდები, მნიშვნელობა არ აქვს ტყუილს ვიტყვი თუ მართალსო?

— კი, ასეა, ოღონდ ქრთამი მაინც უკანონო საქმის კეთებას ნიშნავს. ამერიკულმა კანონმდებელმა ლობისტი დააკანონა. ასე, რომ ეს უკანონო არ არის. ამერიკაში ჩაატარეს გამოკვლევა თუ რომელი პროფესიის წარმომადგენლებს როგორ აფასებენ სირიაში. სულ ბოლო ადგილზე ადვოკატები და პოლიტიკოსები არიან. რა ახსნა აქვს ყოველივეს? — ადვოკატისთვის მნიშვნელობა არ აქვს სიმართლეს — თუკი ფულს გადაუხდიან, იგი, ყველა პოზიციას დაიცავს. ანალოგიური დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკოსის მიმართაც, რადგან მისთვის მნიშვნელობა არ აქვს სიმართლის თქმას — თუკი ფულს გადაუხდიან, ყველა პოზიციას დაიცავს. ადვოკატები ჩვენს სინამდვილეშიც უამრავია. მოვლენების შეფასებას, ძირითადად, მათი პირიდან ვისმენთ და ისინი, როგორც წესი, ცალსახად, კლიენტის პოზიციას იცავენ. ამაზე რატომ არ გვაქვს რეაქცია? ესეც ხომ ისეთივე მოვლენაა — გადაუხადეს ფული და სიმართლე აღარ აინტერესებს. ანალოგიურად მუშაობს ლობიზმი.

— რატომ არ ჰყავს ლობისტი „ქართულ ოცნებას“?

— რა გითხრათ, ძალიან ძნელია „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში პასუხი კითხვაზე — რატომ? რატომ დგამენ წამგებიან ნაბიჯებს; რატომ იტკივებენ აუტკივარ თავს; რატომ ირთულებენ ცხოვრებას; თუნდაც, რატომ აიტეხეს, მაინცდამაინც, ამ მოსამართლეების დანიშვნა მაშინ, როდესაც სათავისო კადრი ნებისმიერ ახალ სახეებში შეეძლოთ ეპოვნათ და შედეგად, მოსამართლეთა შერჩევა „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციის პროცესად არ გადაიქცეოდა. რატომ დადეს პირობა პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებაზე და მერე, რატომ გადათქვეს. შანსები, დაახლოებით, ერთნაირია. მე, თუ მკითხავთ: დღეს არსებული სისტემით ოპოზიციას საკმაოდ სერიოზული შანსი აქვს, თუ მან (მეეჭვება, მაგრამ მაინც) მაჟორიტარების გარშემო ძლიერი ფრონტის გახსნა მოახერხა. „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას ეს შანსი მისცა, რაც პროპორციული სისტემის შემთხვევაში არ ექნებათ. რატომ გაირთულა ცხოვრება, გაუგებარია. თქვენ იკითხეთ: რატომ ვერ მოაბა თავი ლობიზმს? — გამოუცდელობის გამო. საკაშვილი მარტო 9 წელი შევარდნაძის ბანაკში სწავლობდა პოლიტიკას და „ვარდების რევოლუციის“ მერე, კიდევ 9 წელი ქვეყანას მართავდა. ეს დიდი სკოლა იყო, 18 წელი და მიუხედავად ამისა, კიდევ უამრავ შეცდომებს უშვებენ. შეიძლება უფრო მეტი დროც დაგჭირდეს, თუ პოლიტიკის ნიჭი არ გაქვს.

— ევროპა, ამერიკის კონგრესი ისეთი საარჩევნო სისტემის მიღებას გვაძალებს, რაც ოპოზიციას აწყობს. ანუ, სამართლიან საარჩევნო სისტემას კი არ ითხოვენ, არამედ „ნაცებზე“ მორგებულს. ეს რას ნიშნავს?

— თქვენ, გინდათ ისინი დაფიქრდნენ: რომელი სისტემაა სამართლიანი და რომელი — არა? დიახ, ქართველი ხალხის წინაშე

სცოდავენ შემდეგი გარემოების გამო: ამ ოპოზიციაზე, იგულისხმება „ნაცმოძრაობა“, ქართველმა ხალხმა უარი თქვა არჩევნების გზით. თუ ისინი ისეთ დემოკრატიულ პროცედურას როგორიც არჩევნებია, ანგარიშს უწევენ, მაშინ ასეთ მოწოდებებს აღარ უნდა აკეთებდნენ. ხალხმა ამ ოპოზიციაზე უარი თქვა, რაღატომ მომიწოდებ რომ კომპრომისზე წავიდე? ხალხს პატივი უნდა სცენ. მაგრამ მეორე მხრივ, მათ ხალხის პატივისცემა კი არა, არამედ ხელისუფლებასთან პრეტენზიული ტონით ლაპარაკი სჭირდებათ. სად ეძებონ ამ პრეტენზიის წყარო?!

— ძირითადად.ე.წ. ოპოზიცია ხალხის სახელით გველაპარაკება. რეალურად, რა სურს ხალხს?

— ხალხს, როგორც წესი, ყველგან და ყველა დროს უნდა, რომ ნაკლები პრობლემებით იცხოვროს. საზოგადოებას მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს — მას არ უნდა საკაშვილი. რატომ? — იმიტომ, რომ იციან: მიშას რეჟიმში მეტ პრობლემებში იცხოვრებენ. ისეთ პიროებებში როცა ხალხის დიდმა ნაწილმა იცის, რომ უფრო მეტი პრობლემები გაჩნდება ბიზნესის წართმევის, სიცოცხლის ხელყოფის და ა.შ. კუთხით, მათ, ბუნებრივია, „ქართული ოცნება“ ურჩევნიათ მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები ახლაც ბევრია. თუ გამოჩნდება პოლიტიკური ძალა, რომელიც საზოგადოებას ნაკლები პრობლემებით ცხოვრებას შესთავაზებს, არჩევანს მასზე გააკეთებენ. პრობლემრები უნდა იყოს ნაკლები, აი რა უნდა ხალხს. პროპორციული ან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ხალხს ნაკლებად აღელვებს. თუმცა, თუ ვინმე დაინტერესდება გაიგოს — რა ურჩევნია ხალხს, აღმოჩნდება, რომ მათთვის მაჟორიტარული სისტემა უფრო მისაღებია. იმიტომ, რომ ამ სისტემის პირობებში ადამიანმა იცის კონკრეტულად ვის შეიძლება პასუხი მოსთხოვოს. ვთქვათ, გაიმარჯვა რომელიღაც პარტიამ, ვის მოსთხოვონ პასუხი?! — პარტიის თავმჯდომარე მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. აი, კონკრეტული მაჟორიტარი კი უფრო მიღწევადია. ხალხს ამას თუ აუხსნი, აუცილებლად, მთლიანად მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლას დათანხმდება, მაგრამ ეს ვინ უნდა გააგებინოს, პარტიებმა, ხომ. მათ კი მაჟორიტარული სისტემა არ აწყობთ. იმიტომ, რომ თუკი არჩევნები ამ სისტემაზე გადავა, პარტიები აღარაფერს წარმოადგენენ. პარტიის თავმჯდომარე სიას ვეღარ შეადგენს.

— პაუზის შემდეგ, ოპოზიციას კვლავ გაახსენდა — არჩევნები მოგვპარესო და ისევ ბლოკადა დააანონსეს. რა განვითარება ექნება ამ ყველაფერს?

— ბლოკადა ისევ იმ ახალგაზრდების ხარჯზე წარიმართება, რომლებიც „ნაცებთან“ ახლოს არიან, დიდად არც ახსოვთ წარსული და ხმაურიან პოზიციებს აჰყოლიან. დაიწყება ისევ საპროტესტო აქციები, მომიტინგეთა რაოდენობა არც ამჯერად იქნება შთამბეჭდავი. ოპოზიცია არც თავისი სტილით ახდენს დიდ შთაბეჭდილებას ამომრჩეველზე. ერთმა ნაწილმა აირჩია ბოქლომების კარებებზე დადება, დარბაზში მყრალი ნივთიერების მოსხმა და ა.შ. მეორე მხრივ, თვითონ „ევროპულ საქართველოს“ პირველ პლანზე დათო ბაქრაძე ჰყავთ წამოწეული, რომელიც ამ სტილისგან ძალიან განსხვავდება. იგი წყნარი, გაწონასწორებული პიროვნებაა. თავადაც იციან, რომ მოსახლეობას გაწონასწორებული ადამიანი მოსწონს, მაგრამ მაინც აგრესიული ბავშვებივით იქცევიან. მათ, რაღაც, სხვა ამოცანა აქვთ. რატომ ხდება ასე? — ვფიქრობ, ბაქრაძისეულ სტილზე იმიტომ არ გადადიან, რომ კარგად უწყიან: გაწონასწორებული სტილით შეიძლება მოიპოვონ ხმები, მაგრამ არა იმდენი, რომ ამან მათი გამარჯვება უზრუნველყოს. მათ მშვენივრად იციან, რომ საზოგადოებას ახსოვს 9 წლიანი მმართველობა. ამიტომ, აქცენტს მხარდამჭერების შენარჩუნებაზე აკეთებენ. ეს უკანასკნელნი სწორედ იმ ტიპის ხალხია, რომელთაც ეს სტილი მოსწონთ — აგრესიული, შეუპოვარი და ა.შ. ამიტომაც მხარდამჭერების შენარჩუნებაზე ზრუნავენ. თუ თავიანთ ელექტორატს შეინარჩუნებენ, მაშინ მიიღებენ ხმების იმ რაოდენობას, რითაც კვლავ მეორე პარტიად ანუ, წამყვან ოპოზიციურ ძალად დარჩებიან. ამის გამო აქვთ მთელი ეს ორომტრიალი ატეხილი და არა იმისთვის, რომ არჩევნები მოიგონ.

— ბაქრაძე 25 წელია პარლამენტის წევრია და „ენ-დი-აის“, „აი-რაის“ კვლევებით ლიდერობას არ თმობს. ინაშვილმა განაცხადა: გაიტანეთ ეს ორგანიზაციებიო.

— არ მგონია ეს ადეკვატური მოთხოვნა იყოს. როგორ უნდა გაიტანო, ის ხომ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, თავისი ფინანსები აქვს. აფინანსებს გამოკვლევას და შედეგებს აქვეყნებს, სახელმწიფოს არაფერს ეკითხება, დანაშაულს არ სჩადის და ა.შ. გავიძახით გვატყუებენო. კი ბატონო, ასეა, მაგრამ გაზეთში ტყუილი რომ დაიწეროს, მას ამის გამო ხომ ვერ გააუქმებ იმიტომ, რომ ასე სიტყვის თავისუფლება შეიზღუდება. ტელევიზიები ტყუილს ტირაჟირებენ, მაგრამ ვერ ვაუქმებთ, ხომ. „ენ-დი-აის“ და „აი-რაის“ შემთხვევაშიც ასეა, გვეუბნებიან: სიტყვის თავისუფლებაა. იგი ამბობს იმას, რაც სურს რომ თქვას, ნუ გაავრცელებენ და გატანილი იქნება.

— „ნაცები“ პროვოკაციაზე დგანან. გავრილოვის მერე ტუზი დაეცათ: დავილაშქროთ, ხელისუფლებას ლავროვი ჩამოყავსო.

— თუ არ ვცდები საუბარია იმაზეც, რომ ამ ღონისძიებას თბილისმა არ უმასპინძლოს. საერთოდ, ასეთი მასშტაბური ღონისძიების დაგეგმვის დროს ხელისუფლება ცოტა ადრე უნდა დაფიქრდეს და უარი თქვას ან ორგანიზატორ მხარეს შეუთანხმდეს, რომ მას რუსეთის მიმართ პრეტენზიები აქვს და მისი ინტერესები დაცული იყოს. ჩვენ რუსეთის მონაწილეობაზე ლაპარაკს მაშინ ვიწყებთ, როცა ჰა, ჰა დელეგაცია უკვე უნდა ჩამოვიდეს. იქამდეა მოსაფიქრებელი: რა უნდა გაკეთდეს ამ ტიპის ღონისძიებისას. ნატოს სამიტზე რუსეთი არ მონაწილეობს, მაგრამ ეუთოში რომ რუსული დელეგაცია იქნება, რად უნდა ამას ლაპარაკი.

— ცოტა ხნის წინ გახარიამ ჟურნალისტებს უთხრა: ფინალს დაელოდეთო. რას ნიშნავდა ეს ყოველივე?

— მე, ეს წინადადება მაინც აღვიქვი როგორც გახარიას მორიგი მფრინავი ფრაზა, რათა ჟურნალისტების უხერხული კითხვები თავიდან მოეშორებინა — აღარ მკითხოთ, დაელოდეთ ფინალსო, ამას ნიშნავს, ხომ. რამეს აპირებს თუ არა, ძნელი სათქმელია. ლოგიკურად, ახლა, არაფერი არ უნდა მოიმოქმედონ. არჩევნების წინ ასეთი შეცვლა არ კეთდება — წყალზე გადასვლისას ცხენებს არ ცვლიანო, ხომ. თუკი ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ძირითად შემადგენლობას გამოცვლი და ფაქტობრივად, ახალ გუნდს რამოდენიმე თვით დანიშნავ, ეს სახელმწიფოებრიობის უპატივცემულობაა. ამან, შესაძლოა, უკუშედეგი გამოიღოს — საზოგადოებამ იფიქროს, რომ საკადრო პოლიტიკა არ გივარგა და შედეგად მმართველი გუნდის რეიტინგიც დაიწევს.

— ბატონო რამაზ, „მთავარზე“ საკაშვილის გამოსვლის შემდეგ რამდენად აშკარაა, რომ საქმე სერიოზულ გიჟთან გვაქვს?

— არ ვიტყოდი, რომ საკაშვილი გიჟია, თუმც ასე ბევრი თვლის. მას სტილისტიკა აქვს გიჟის, თორემ თუ იმ ლოგიკიდან ამოვალთ, რაც ცოტა ხნის წინ მოგახსენეთ — საკაშვილი და მისი პარტია ახლა საკუთარი ამომრჩეველის შენარჩუნებაზე ზრუნავენ, მივხვდებით: სად მარხია ძაღლის თავი. აქედან გამომდინარე, მიშასთვის მომგებიანია რაც უფრო მეტ აგრესიულ ფრაზებს გაისვრის, რაც უფრო ხშირად იტყვის მოვდივარო. ხშირად იძახის მოვდივარო, მაგრამ არცერთხელ არ ჩამოსულა, ხომ. ვისაც მისი სჯერა, მას ამ ფრაზისაც სჯერა. საკუთარ ამომრჩეველს სწორედ ამით აკავებს. დიახ, ამ ლოგიკით ხდება ამომრჩევლის შენარჩუნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ღია წერილი ამერიკელ კონგრესმენებს

2 გვ.

აღარ მოგვცენ, ეხლა იმედი მაინც არსებობსო. ერთი კარგად გამოიხედეთ თვალებში, თქვენს მოქალაქეებს ასე რომ ვინმე მოექცეს, რას იზამთ, შეარჩენთ? შეარჩენთ კი არა, თავბედს აწყევლინებთ, საშვილთაშვილო ანდერძს დააწერინებთ. ჰოდა, რაკი თითოეულმა დაზარალებულმა ვერაფერი გააწყო, სახელმწიფომ მიხედა ამ საქმეს და ეს არის ძალიან კარგი!

ოკლაჰომელო მაჟორიტარო მალინ, ერთი ნაბიჯით წინ იარ!

როგორც ამბობენ, თქვენს ბიოგრაფიაშიც არის ფინანსებთან დაკავშირებული პიკანტური ისტორიები. წარმომადგენელთა პალატის ეთიკის კომიტეტი 5 წლის მანძილზე იძიებდა თქვენს ინტერესთა კონფლიქტს. 2018 წლის აგვისტოში ეთიკის კომიტეტმა დაადგინა, რომ პარალელურად ხელმძღვანელობდით საოჯახო ბიზნესს – სანტექნიკის კომპანიას, საიდანაც იღებდით კაი შემოსავალს და რეკლამასაც კი უწევდით. კონგრესმა სანქციები არ დაგადოთ, მაგრამ დაგაბრუნებინათ ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი – 40 ათასი დოლარი და გამოგაბუნძულეს იმ კომპანიიდან. თქვენ კოლეგასთან, კრის კოლინსთან ერთად, ინვესტიცია განახორციელეთ ავსტრალიის ერთ-ერთ ფარმაცევტულ კომპანიაში, რომლის გამოშვებულმა ახალმა წამალმა არ ივარგა. კონგრესმენ კოლინსს ბრალი წაუყენეს ინსაიდერული ტრეიდინგისთვის – სანამ წამლის უკუეფექტის შესახებ ცნობილი გახდებოდა, კომპანიის აქციები გააყიდინა ოჯახის წევრებს, რითაც ხეირი ნახა. თქვენს საქმეს კი იძიებენ ამ საქმეში. გაიგონეთ? მიმდინარეობს გამოძიება, მისტერ-ამხანაგო მალინ. უკაცრავად, მაგრამ მაშინ, როცა თვითონ ხართ ყელამდე ჩაფლული კორუფციაში, რა უფლებით ჰყოფთ ცხვირს დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ვინ ხართ და ვის დაჰკარგვიხართ? მალინ, თქვენ შარშან „ფრონტერასგან“ 68 ათასი დოლარი ჩაგერიცხათ ანგარიშზე!

ტეხასელო ბაბინ, თქვენც გამოდით ერთი ნაბიჯით წინ!

გიორგი გახარიასადმი მიწერილ წერილში არც კი მალავთ, რომ „ფრონტერას“ ლობისტი ხართ და ამის გამო მიედ-მოედებით. თქვენ შარშან, 2019 წელს გაზისა და ნავთობის სექტორიდან 21ათასი დოლარი შემოგწირეს. დეკემბერში, ბოლო ჩარიცხვისას 1000 დოლარი დაგიფიქსირდათ!

ისე, რაღა დაგიმალოთ და უფრო ძვირადღირებულნი გვეგონეთ... ვფიქრობდით, ამ საქმიდან მილიონებს ადნობდით, მაგრამ ჩვეულებრივი მეწვრილმანეები ყოფილხართ. ბაბინ თუ შმაბინ, რა არის 1000 დოლარი? მაგ ფასად ფოთის პოლიცმაისტერიც კი აღარ გაიხდის...

ოლსონებო, შმოლსონებო და სხვებო (რამდენჯერ უნდა ჩამოგთვალოთ?), როგორადაც არ უნდა შეალამაზოთ ის, რასაც აკეთებთ, და უწოდოთ „ლობისტობა“, ეს არის კორუფცია, ეს არის ფულის კეთება სხვისი ჩაწიხლვის ფონზე. ზემოთ უკვე გითხარით და გიმეორებთ: თქვენ აკეთებთ ფულს და ამ დროს ვედროებით წყალს ასხამთ ვლადიმერ პუტინის წისქვილზე, ძირს უთხრით ქართველი და ამერიკელი ხალხის ურთიერთობას. თქვენ აზრზე არ ხართ, რა ხდება საქართველოში, ასეთი სულელური წერილები იწვევს უკურეაქციას, ჩვენში დღითიდღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ამბობენ, ამათ ვინ ჰკითხავთ, ასე რომ ერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში? ასეთ რამეს ხომ კრემლიც კი არ კადრულობდა საბჭოთა პერიოდში? დიახ, ოლსონებო და შმოლსონებო, თქვენ საქართველოში ხელს უწყობთ ანტიამერიკული განწყობის გაღვივებას!

წერილი შეადგინა და
წერტილი დაუსვა

გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61

ვინ ხართ თქვენ, მისტერ რობინ - შეპარდი, თუ სუსლოვის კლონი?

პასუხი „ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის“ ვიცე-პრეზიდენტ რობინ შეპარდს!

დიდხანს ვიფიქრე, გამეცა თუ არა პასუხი, „ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის“ ვიცე-პრეზიდენტ რობინ შეპარდისთვის, იმ უცერემონიო განცხადებაზე, რომელიც **„ამერიკის ხმასთან“** საუბრისას გააკეთა:

„ადამიანებს ავიწყდებათ, რომ კონგრესი უკიდურესად გავლენიანი ორგანოა. თუ კონგრესმა რაღაცა გადაწყვიტა და ეს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებაა, მას პრეზიდენტიც კი ვერ ადებს ვეტოს. საკანონმდებლო პროცესი ესკალატორს ჰგავს. წერილის დაწერა ესკალატორის პირველი საფეხურია. თუ ვითარება გაუარესდა, კონგრესს აქვს ბერკეტები იმისთვის, რომ საქართველოს მთავრობას ცხოვრება გაურთულოს.“

რასაკვირველია, ამას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი, რადგან

ბ-ნი შეპარდის საუბარი, ჩვენთვის კარგად ცნობილი „უფროსი ძმის“ (ასაკით უმცროსი, მაგრამ მაინც „უფროსი“) გაფრთხილებებრძანებას უფრო წააგავს, ვიდრე საქართველოს ბედით შეწუხებული ადამიანის წუხილს!

დასაწყისშივე ვუდასტურებ, ეჭვი არ მეპარება, რომ — **„კონგრესი უკიდურესად გავლენიანი ორგანოა“**, მაგრამ ბ-ნ შეპარდს ავიწყდება განმარტოს, რომ — აშშ-ს კონგრესი, აშშ-შია უკიდურესად გავლენიანი ორგანო, რადგან იგი აშშ-ს მოსახლეობას, მისი წარმომავლობის სტრუქტურას და ტრადიციებსაა მორგებული და არა, საქართველოსას!

ბუნებრივია, ბ-ნი შეპარდის მიერ ნახსენები **„გულმავიწყი ადამიანები“** ჩვენ-ქართველები ვართ, მაგრამ, მიუხედავად, საქართველოს საკითხებში ღრმად განსწავლულობისა, მას მაინც ავიწყდება (ან არ უსწავლებიათ), რომ, ჩვენ **„არაფერი გვავიწყდება“** და მისმა **„წყალგაუვალმა და უცერემონიო დასკვნამ“** მისი შორეული, სულიერი წინაპარი, **რუსი ბოლშევიკი „სუსლოვი“** გაგვახსენა.

ბატონი შეპარდისა არ იყოს, სუსლოვების და მათი ძმების თავგამოდებაც **„უკეთილშობილესი კომუნისტური მომავლით“** ინათლებოდა, რაც, მაღთი აზრით, ქართველებს არ ესმოდათ და მხოლოდ ქართველი ერის წინააღმდეგობას მიჰყავდა ისინი უმკაცრეს გადაწყვეტილებამდე, სხვებისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, ქართველები საქართველოდან გაესახლებინათ, მათ ადგლზე კი:

„შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად დაგვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ **ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან.** აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად, **ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი სხვა და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვა და სხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს.“**

(პარიზის ეროვნული საბჭოს ჟურნალიდან, “მებრძოლი საქართველო” (26 მაისი, 2003 წელი).

ბოდიშს ვიხდი ასეთი ვრცელი ამონარიდისთვის, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოვახერხე ბ-ნი შეპარდისთვის გამეცნო მისი შორეული, სულიერი წინაპარი, **„ბოლშევიკი სუსლოვი“**, რომელიც **„არა მტრობის, არამედ კეთილი სურვილების“** გამო უპირებდა ქართველებს შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებას!

ისე რიხიანად დაიწყო ბატონმა შეპარდმა ჩვენი დამოძღვრა-ჭკუის სწავლება, იგი უსათუოდ მივა სუსლოვის იდეამდე (თუ დროზე არ შევაჩერეთ) და დრო რომ არ დაკარგოს ქართველთა მომავლის „ფორმირებაში“, მზა მასალას ვთავაზობ მას, მშვიდობაში მოსახმარად!

თავის დროზე, ჩვენი ამერიკელი მოკეთეებისგან განსხვავებით, ბოლშევიკებიც კი უფრთხოდნენ საქართველოზე პირდაპრი და ღია ტექსტებით თავდასხმას.

მოუსმინეთ რას ამბობდა მგზნებარე და მსხვილი კალიბრის ბოლშევიკი კიროვი:

„1921 წელს კპ ცკ-ის ბიუროს მდივანი ს.კიროვი ამბობდა: **„არ შეიძლება ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება. ამისათვის არაა საჭირო გახსნილად დავესახათ თავს საქართველოს, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთსა და აჭარაში, შევუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გაწყვეტენ მას“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6. VI. 1991).“

ყურადღება მიაქციეთ ბოლშევიკ კიროვის მინიშნებას ბატონო შეპარდ, რომელიც, **თქვენმა გაწვრთნილმა და საქართველოს მაოხარმა მიხეილ სააკაშვილმა, ჯერ კიდევ 2008 წელს აღასრულა, როცა არა მარტო აფხაზეთი, სამაჩაბლო, თქვენებურად „სამხრეთ ოსეთიც“ ზედ მიაყოლა და რუსებს ჩააბარა!**

დიდებული მინიშნებაა:

„არ შეიძლება ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება.“

ასი წლის წინანდელი კიროვის **„მიგნების“** დონეზე ხომ არ დარჩება, აშშ-ს, თანამედროვე, საინფორმაციო-პროვოკაციის დონეზე აღჭურვილი ბ-ნი შეპარდი?!

ბუნებრივია, ეს ასე არ დარჩება, საქართველოს მედიასაშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიას ეტყობა აშკარად აშშ-ს ხელი, როცა მთავრობის (არა აქვს მნიშვნელობა იგი კანონმორჩილია თუ პირიქით) დამხობისკენ მოუწოდებს ქვეყნის მოსახლეობას!

ყოველივე ამის ფონზე, ჩვენ გვიჩნდება კითხვა: ვის უკაფავთ გზას ხელისუფლებისკენ?

ჩვენ კარგად ვხედავთ, ვის უსუფთავებთ გზას, ქვეყნის საბოლოო დაქცევისთვის და არა მისი აღმშენებლობისთვის (თქვენს მიერ **„ანაკლია პორტის“** ათასწლეულის პროექტის ჩაშლაა ამისი ნათელი მაგალითი), არა ზნეობისა და სამართლის დამკვიდრებისთვის (თქვენგან მხარდაჭერილი უზნეონი და უსამართლობის დამმკვიდრებელნი აქოთებენ ქვეყანას ყველა საშუალებით), არა ბოლო 30 წლის მანძილზე თქვენს მიერ მხარდაჭერილთა მიერ დაშლილი საქართველოს გაერთიანებისთვის (ქვეყნის მოსახლეობის სურვილი და ყველა ცდა, უპირველეს პრობლემად ქვეყნის გამთლიანება დაისახოს, მყისიერად იბლოკება), არა სიყვარულის და სიმშვიდის დამკვიდრებისთვის, არამედ, **ჩვენი სამშობლოს, მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნის მიზნით ხელისუფლებისთვის გზას უკაფავთ 1991 წლის „პუტჩის პიონერებს“**, რომლებიც კარგა ხანია თქვენს ხელში დავაჟკაცდნენ, ქვეყნის და მისი მოსახლეობის უზნეობაში ჩათრევის პრაქტიკაც გაიარეს და მზად არიან ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსვლის შემთხვევაში, საქართველო მოგიმზადონ ისეთი სახით, **„რუს ბოლშევიკ სუსლოვს“ რომ უნდოდა მისი გასახლება, ათასწლეულების წინანდელი მისი წარმოშობის ადგილიდან!**

სუსლოვმა ვერ შეიძლო ავი განზრახვის სისრულეში მოყვანა, მას პრაქტიკა, გამოცდილება არ ეყო (მაშინდელმა, ქართველთა სიმტკიცემაც შეუშალა ხელი და უცხოთა მიერ მოსყიდული არც ამდენი მოღალატე ჰყავდა, რამდენიც დღეს), გოლგოთას გზაზე გაეყენებინა უდანაშაულო ქართველი ერი!

თქვენგან გაწვრთნილი და მხარდაჭერილი, თბილისის ქუჩებს (ამჟამად, საწუხაროდ, თითქმის მთელს საქართველოში) სასტვენებით და მეგაფონებით მოდებული ნეოპუტჩისტების იმედად, არამარტო საქართველოს მთავრობის, ურჩი მეზობელი ქვეყნების ჭკუის სწავლებაც (გამოცდილება აქაც დიდი გაქვთ, მიშა-შეურაცხადის (სააკაშვილის) და მისი სახელმწიფო დამნაშავეების ექსპორტი უკრაინაში) შეგიძლიათ!

ხშირად, ჩვენ, ქართველები, ფალავნობის მოყვარულნი ვართ და ამიტომ დაგიკარით ტაში და არა იმიტომ რომ, რაც პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე მოხდა, კანონიერი და მისასალმებელი იყო!

ამის გამო, უამრავი, ჩვენი ოპონენტი ნიშნისმოგებით გვეუბნება:

„ხომ ნახეთ აშშ-მ 45 მილიონიან უკრაინას რა უქნა, ჩვენ ვინ ვართ, მათ ნებას წინ აღვუდგეთო?!“

ღრმად პატივცემულო ბატონო შეპარდ,

თქვენ უჩემოდაც კარგად გესმით, ხშირ შემთხვევაში მილიონების სიმრავლეს (მოსახლეობას ვგულისხმობ), გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს საქმის წარმატებისთვის. მითუმეტეს, როცა უცხო ქვეყნის მთავრობას ასე უტიფრად ემუქრებით, როცა ეს მუქარა პირდაპირი მინიშნებაა იმისა, კარსმომდგარ არჩევნებში, რომელი ძალის მოყვანას უჭერთ მხარს ხელისუფლებაში!

ზემოთ, გაკვრით ვახსენე **„1991 წლის პუტჩის პიონერები“** ყურადღება მიაქციეთ ამ ფრაზას, ყველაფერი, **რაც დღეს საქართველოში ხდება 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალების, პუტჩის შედეგია, რაშიც, თქვენს პრეზიდენტყოფილ „მამა ბუშს“ დიდი წვლილი მიუძღვის**. როცა მან, საქართველოს ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ საქვეყნოდ განაცხადა:

„საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო!“

ამ ფრაზით, **„მამა ბუშმა“, მწვანე შუქი აუნთო რუსეთს და ედუარდ-უხსენებელს (შევარდნაძეს), ისე ემოქმედათ საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ისინი მიიჩნევდნენ, აშშ მათ საქმეში არ ჩაერეოდა!**

რაც ამის შემდეგ მოხდა, უჩემოდაც კარგად იცით, მე მხოლოდ ერთს შეგახსენებთ:

ვისაც თქვენ მომავალ არჩევნებში ლობირებთ და გზას უკვალავთ ხელისუფლებისკენ, სწორედ იმ „პუტჩის პიონერებია“ უკლებლივ, რასაც საქართველოს მოსახლეობა შეაკვდება და არ მიიღებს!

თავს ნუ მოიტყუებთ, აკი გითხარით, იგივე საქართველოს მოსახლეობა, **არც ქვეყნის დღევანდელი მთავრობისთვის იკლავს თავს, მაგრამ — არაერთგზის ქვეყნის და მისი მოსახლეობის ღალატსა და გამყიდველობაში მხილებულებს უკან არ დააბრუნებს!**

პატივისცემით
და კეთილი სურვილებით

დავით ქობალია
598 70 86 00

არც ეს „ოქროა“ გმირი, როგორც ოქრო არ არის ყველაფერი, რაც ბრჭყვიალებს

1860 წელს, სხვათა შორის, ბატონყმობის გაუქმების გამოცხადების თარიღზე, გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის პოემა „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. ნაწარმოები, თურმე, სრული სახით, „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილა და მკითხველებში, იმთავითვე დიდი მოწონება დაუმსახურებია.

მას შემდეგ საუკუნენახევარზე მეტი გავიდა და აგერ, ახლა, სოციალურ ქსელში, საჯაროდ გამოქვეყნდა ახალთახალი ნაშრომი ორ ნაკვეთად, სახელწოდებით „ერთი

დღე ციხის ცხოვრებიდან“. მართალია, ამ „ნაწარმოების“ კომენტატორები ავტორს გმირთაგმირს, მძლეთამძლეს ზევსის შთამომავალს და წყვდიადის გამნათებელს უწოდებენ, მაგრამ ის ერთი ჩვეულებრივი ავანტურისტი და ყალბი კაცია. მის გამოსაცნობად ძალიან არ დაგღლით, რადგან ამ ნიშნების მატარებლები საქართველოში წითელი ჭიანჭველებივით მომრავლდნენ, ამიტომ პირდაპირ გეტყვით: ეს ირაკლი ოქრუაშვილია.

მის ხსენებაზე პირველად ყველას ბორდელის ქალების აწიოკება და მათი ნიფხვებით და უნიფხვოდ სირბილი ახსენდება, რადგან ეს არის „ოქროს“ ყველაზე „გმირული“ და დასამახსოვრებელი, სამარცხვინო ქმედებებიდან ერთ-ერთი, ასე რომ ვთქვათ, ყველაზე არაკაცური საქმე.

პატიმარი ირაკლი ოქრუაშვილი გახლავთ კაცი — მინისტრად დაბადებული, ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდა, ალბათ, საკუთარი თავი, რადგან სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ის იყო კადრი, რომელიც სხვადასხვა დროს თითქმის ყველა სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

ბოზების, თურქი მძღოლების და ხაშურელი პოლიციელების ჭრელი საწმერთულებით სირბილი სწორედ მის შს მინისტრობას უკავშირდება. მალე, „ოქრო“ ქუთაისელ კანონიერ ქურდს ბონდო შალიკიანს შეუვარდა სახლში და ტელეკამერების წინ ისიც, ცოლთან ერთად, თითქმის დედიშობილა არბენინა. ამ ფაქტებში საინტერესო კიდევ ისაა, რომ მიუხედავად თანამდებობრივი ძალაუფლებისა, ოქრუაშვილი იმდენად მშიშარა თაგვია (თუ ვირთხა?!), რომ სადაც მიდიოდა, ტელევიზიები მიჰყავდა, – ტელეკამერების წინ მინისტრს აშკარად ვერ შეეწინააღმდეგებოდნენ, თან მეტი შეურაცხყოფა იყო, მთელი ქვეყანა რომ ნახავდა, მაგალითად, სირცხვილნაჭამ ქურდს — შალიკიანს და სხვებს.

გამოხდა ხანი და როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ დროს, „ოქრო“ გადაუდგა მიშას და პოლიტიკური მოძრაობა შექმნა. თუმცა ეს პარტია დღენაკლული აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ პარტია „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ისე ტრაგიკულად და მოულოდნელად ჩაიფშუტა, როგორც უაილდის „ღირსშესანიშნავი შუშხუნა“.

პარტიის დეტონატორმა ეკა ბესელიამ პარტია „ოქროს“ ხელში შეატოვა და წავიდა...

ოქრუაშვილის პირველი დამოუკიდებელი პოლიტიკური გაბრძოლება — რომ სააკაშვილი გადაეყენებინა, კრახით დამთავრდა, სამაგიეროდ, ის მალე მიხეილ სააკაშვილმა დააკავა კორუფციული ხიმანკლობისთვის და გამოძალვისა და სამსახურებრივი გულგრილობის გამო პატიმრობა შეუფარდა.

კარგად მახსოვს ლურჯ სპორტულებში ირაკლი ოქრუაშვილი, ტელევიზიით რომ აღიარა წაყენებული ბრალი და მიშას მაღალჩინოსნებზე ნათქვამი ყველა აუგი სიტყვა რომ უკან წაიღო, თან არაფერი არ მახსოვს, ვერ ვიხსენებო, ფშლუკუნებდა.

მიშას ციხეში, იმ არაადეკვატური მანიაკის ხელში რომ ჩავვარდნილიყავი, ვინ იცის, შეიძლება, მე ადგილზევე გამხეთქოდა პაწია გული, მაგრამ მე ხომ გმირი არა ვარ, ამიტომ არც საქართველოს შს მინისტრობაზე მომიწერია ხელი, არც ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრობაზე, არც ოსებს და რუსებს არც ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრობაზე, არც ოსებს და რუსებს დავმუქრებივარ — დედას გიტირებთ და ბდღვირს აგადენთ-თქო.

„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ,
იქით გორასა ძვრას ვუზამ“...

წრუწუნა რომ ხარ, ლომად თავი არ უნდა წარმოიდგინო.

2007-ში სექტემბერში „ოქრო“ რომ გისოსებში ჩაგვისვეს, გენპროკურორი ნიკუტია გვარამია იყო. გვარამიამ მაშინ გამოაცხადა: დაიწყო გამოძიება ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რაც მან პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის სხვა მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით გააკეთაო, მაგრამ, როგორც გითხარით, ჩვენმა „გმირმა“ ირაკლიმ ყველაფერი უარყო. ციხეში მარტვილობა და ტანჯულობა არ აკმარეს, 10 მლნ გირაო გადაახდევინეს, ამოარტყეს წიხლი და გამოაგდეს.

გირაოს ნაწილი თურმე ფულად გადაიხადა, ნაწილის ქონება მიუცია მთავრობისთვის.

ყველაფერს შეიძლება გამართლება მოუძებნო, მაგრამ, როცა ოქრუაშვილს გმირის მანტიას ასხამს წამხედური ხალხი და დაფნის გვირგვინს ადგამს იმ ავანტიურისტ თავზე, რატომ არ ფიქრობენ თუნდაც იმაზე, საიდან ჰქონდა — ოქრუაშვილს 10 მილიონი. ვთქვათ, 10 არა და 5 მლ. ან 2 მილიონი ლარი. საიდან გაჩნდა ადვოკატის ჯიბეში 2003 წლიდან 2007 წლამდე, 7 წელიწადში, 10 მლნ?! ამ „გმირ“ კაცს მასზე მეტად კორუმპირებულმა, მასზე არანაკლებ ავანტიურისტმა და შეიძლება ითქვას, მასზე მეტად ზნეწამხდარმა და ხარბმა სააკაშვილმა კი წააღლიტა 10 მილიონი, მაგრამ ოქრუაშვილის ოჯახი, რამდენადაც ვიცი, არც ახლა ეძებს ხმიადს განჯინაში. თავის მონოლოგში „ერთი დღე ციხის ცხოვრებიდან“ წერს: შვილი მიდის წლეულს უცხოეთში სასწავლებლადო. უცხოეთში კი არა, ჩვენ, ოჯახში, ბავშვის ფულს ძლივს ვიხდით კერძო ბაღში, ჯერ პატარაა და სახელმწიფო ბაღში არ ღებულობენ.

2010 წელს გმირობის პრეტენზიის მქონე ახლანდელმა პატიმარმა „ქართული პარტია“ დააფუძნა, რომელიც ისეთივე დღენაკლული აღმოჩნდა, როგორც პარტია — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“.

თუმცა ეს „სულით გაუტეხელი“ ირაკლი მაინც არ ისვენებდა — 2019 წელს მან შექმნა ახალი გაერთიანება „გამარჯვებული საქართველო“ და გვერდით გუბაზ სანიკიძე და ვალერი გელბახიანი დაიყენა.

ეს ის გელბახიანია, ბადრი პატარკაშვილის მარჯვენა ხელი რომ იყო და ბადრი რომ გაისტუმრეს საიქიოს და მის მკვლელობაში ეჭვებს, საჯაროდ, ტელევიზიით, ოქრუაშვილი რომ გამოთქვამდა: სააკაშვილი გეგმავდა ბადრის მკვლელობასო. აი, ამ შავბნელ ისტორიებში გარეული გელბახიანი დაიყენა გვერდით ოქრუაშვილმა.

ეს გელბახიანი ამასწინათ სააკაშვილთან რომ იყო ვიზიტად სანიკიძე „ქვეყნის მხსნელთან“ ერთად, ეს კიდევ ცალკე საკითხია...

მოკლედ, ახალი პუბლიცისტური ნაშრომების ავტორი ოქრუაშვილი თავს ივანიშვილის პირად პატიმრად მიიჩნევს. მას გამოძიება 20–21 ივნისის მოვლენების დროს ჯგუფურ ძალადობასა და სახელმწიფო გადატრიალებაში შესაძლო მონაწილეობას სდებს ბრალად. ოპოზიცია კი ამტკიცებს: ოქრუაშვილი იმიტომ დაიჭირეს, რომ მას აქვს დოკუმენტი, რომელიც

ამტკიცებს — „რუსთავი-2“ ქიბარ ხალვაშის კი არა, თავად ირაკლი ოქრუაშვილისაო.

როგორც სააკაშვილის გარემოცვამ არ იცოდა, ვისი ცოლი ვის ლოგინში კოტრიალობდა, ისევე გაურკვეველია, ხალვაშის წილი „რუსთავი-2“-ში, სინამდვილეში, ოქრუაშვილისაა თუ ოქრუაშვილის წილი ხალვაშის, ან სააკაშვილის, კეზერაშვილის თუ სააკაშვილის ნათესავი ალასანიების. ოპოზიციის სპეკულირება ამ საკითხით, როგორც ყოველთვის, სრული დემაგოგია გახლავთ.

2007 წელს თავის ე.წ. აღიარებამონანიებაში რამდენჯერმე გაიმეორა ოქრუაშვილმა: ამერიკელებთან დაძაბული ურთიერთობა მქონდაო.

ძაან კონფლიქტური ხარ, ჩემო ირაკლი, ამერიკელებთან დაძაბული ურთიერთობა გქონია, რუსებს ფეკალიების გაგზავნით ემუქრებოდი, შენს მშობლიურ ცხინვალში ახალ წელს იარაღით შესვლას გეგმავდი, ე.ი. ოსებთან კონფლიქტი გქონია, მიშასთან კონფლიქტი გქონდა, როგორც მახსოვს, ემუქრებოდი სააკაშვილს: მიშა, სადაც უნდა იყო, იქ მოვალ და ჩაგხედავო თვალებშიო. შენს ძველ თანამებრძოლებთან, ნაციონალებთან ვერ თანხმდებოდი, 2018 წელს ტყვიავში ადგილობრივ არჩევნებში სასტიკად დამარცხებულხარ, ე.ი. არც გორში გიყურებენ დიდი სიმპათიებით, ივანიშვილს შენ ემტერები, ვინღა დარჩა, ჩემო ოქრო, ვინ?

რაც შეეხება პოლტიკური ორიენტირებს და ამერიკელებთან ურთიერთობას, ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი მთავარი მესიჯი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება იყო, მეტიც, „ოქროზე“ გამწყრალმა ნაციონალებმა თავის დროზე, ჯერ კიდევ 2012 წლამდე, ის ჩანაწერები გაასაჯაროვეს, რომლითაც დასტურდებოდა ოქრუაშვილის კავშირები რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნებთან.

შეგახსენებთ, დღეს ირაკლი ოქრუაშვილი სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხის წაქეზებაში და მონაწილეობაშია ბრალდებული, რომელიც 20-21 ივნისის ანტისაოკუპაციო აქციების მთავარ მიმართულებად ითვლება.

აი, ამ კაცს ეძახიან გმირს, აი, ამ კაცს უნდა გმირობა და აი, ეს კაცი ირგებს წამებულის მანტიას.

რა ვქნა, რა ვუყო ამდენ გმირს და გმირობის მოსურნეს, სინამდვილეში, ცრუ-ფაფხურას და ნაცარქექიას, რომლებიც თვალებში ნაცარს გვაყრიან...

სააკაშვილის წყალობით ფული აქვს ოქრუაშვილს, სახლ-კარი, აგარაკები და ხელისუფლებაში ხელმეორედ თუ ვერ შეძვრა, რისი მცდელობაც „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთანავე ჰქონდა თურმე, გმირის წოდებას მაინც შეიფერებს.

რად უნდა გმირის მანტია? — იმისთვის, რომ სხვებს ზემოდან დაჰყურონ, ძველებურად დაამცირონ, გააშიშვლონ სულიერად და ფიზიკურად, ანთხიოს დაგუბებული ბოღმა, დიახ, ბოღმა და სიძულვილი, ეს არის ძირითადი განცდები, რამაც შეაკავშირა, „ნაცმოძრაობის“ წევრები ერთმანეთთან, რაც დღემდე აკავშირებს მათ და შეაკავშირებს მუდამ. ისინი ცოდვის ჯაჭვით არიან სამუდამოდ გადაბმული...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ბოროტები“ და „იდეალისტი“ ჟორიკა „ბიძინას ციხიდან“, რომელსაც საქართველოსთვის „ძველი დიდების“ დაბრუნება სურს...

გასული თვის ბოლოს, საქალაქო სასამართლოში სადაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებული **გიორგი რურუას** სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, მის ადვოკატს, **ნიკა გვარამიას** ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გასული წლის ბოლოს გვარამიამ, გიორგი რურუას პატიმრობაში დატოვების გადაწყვეტილება ასე შეაფასა „ეს ყველაფერი არის მზადება სხვა დანაშაულების დაბრალებისთვის, რომლებშიც იარაღი უნდა ფიგურირებდეს, არ გამოვრიცხავ, რომ გიორგი რურუას სხვა დანაშაულებიც დაბრალდეს, მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ამავე იარაღით.“ რა უხერხულია გვარამიას ეჭვი „დაბრალებაზე“, მაგრამ გაუგონარი უტიფრობაა რომ, გიორგი რურუას პრეტენზია ჰქონია სასამართლოზე დარღვეულ მის უფლებებზე, უსამართლობის განცდაზე, დაქცეულ ქვეყანაზე.

რურუა არც ბრალმდებელის ლანძღვას ერიდება „ეს ვაჟბატონები, ესენი არიან ბიძინას გასაბერი პროკურორები და ხმარობს ბიძინა როგორც უნდა. აქ მოვდივარ იმიტომ, რომ ჩემი ოჯახის წევრები, ნათესავები და ჩემი დაცვის მხარე ვნახო. ჩვენ იდეალისტები ვართ, ჩვენ ვიბრძვით თავისუფლებისთვის და სამართლიანი მომავლისთვის რასაც აუცილებლად მივაღწევთ. მე არ მაქვს განცდა რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებთ. ის რომ ვიდეოს მტკიცებულების წარმოდგენაზე უარი გვითხარით, ჩვენ ამას ტელევიზიით გავახმაურებთ თქვენ, თქვენი ტირანი ბიძინა ივანიშვილს თამადობით აკეთებთ კანონგარეშე ქმედებას“ იდეალისტმა“ ჟორიკამ მოსამართლის კითხვაზე თუ სად ცხოვრობს ასე უპასუხა — „ბიძინას ციხეში, გლდანში.“ არადა, ქვეყნად სამართალი, რომ არსებობდეს მას ჯერ შევარდნაძისდროინდელი ციხე უნდა ეხეხა და შემდეგ მიშასი, მაგრამ დაღვრილი სისხლის „ერთობა“ ჯერ კიდევ არსებობს. რადგან, ერთი თუ ალაპარაკდა ბევრს გაიყოლებს. არც ფულს დაუკარგავს ჯოჯოხეთის განათების ეფექტი და მკვლელობით, ძარცვით, ტერორით სახელგანთქმულ „ჟორიკას“ დიახ, სურვილი აქვს, რომ ძველი „დიდება“ დაიბრუნოს და ქვეყანაც დააბრუნოს ოთხმოცდაათიანებში. მართალია „ძველი დვიჟენია“ ძმის სასარგებლოდ არჩევნებში აღარ გამოადგა და დამარცხდა, მაგრამ ქვეყნის დასაქცევად ბრძოლა არ შეუწყვეტია. რურუამ, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი თვითონ შეიკერა და მოირგო. მის „რევოლუციურ მოწოდებებს“ ხან ნიკა გვარამია აქვეყნებს და ხან თვითონ. „სულისშემძვრელია“ 10 იანვარს მის მიერ გამოქვეყნებული მიმართვა:

●

„ჩვენ, თავისუფალი ქვეყნის, თავისუფალი მოქალაქეები, წარმოვადგენთ ხელისუფლების მთავარ წყაროს, რაც დღეს მთავრობისგან უგულებელყოფილია! ჩვენ ვიმსახურებთ უკეთეს სახელმწიფოს — ძლიერს და სამართლიანს. არსებობენ საქართველოს მსგავსი ისტორიის მქონე ქვეყნები, რომელთაც შეძლეს სახელმწიფოს შექმნა, უკიდურესად მტრულ გარემოშიც კი. ვფიქრობ, რომ თავისუფლების მოყვარე, სამოქალაქო საზოგადოება, შეევძლებთ ისეთი სახელმწიფოს შექმნას, რომლის მიტაცებასაც ვერავინ შეძლებს, და ავირჩევთ ისეთ მთავრობას, რომელსაც კონტროლს გავუწევთ. ერთმანეთში შეზრდილი ხელისუფლება – სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოები უნდა დაიყოს სამართლიან და დამოუკიდებელ ერთეულებად. ჩვენი მთავარი მოთხოვნა, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა საქართველოს ახალ და სამართლიან გზაზე დააყენებს.ამ სისტემის სიკეთეებზე აღარ ვილაპარაკებ, ერთს აღვნიშნავ მხოლოდ, რვა წლიანი ციკლი ხელისუფლებაში ყოფნის ისტორიას ჩაბარდება. თუ კიდიდეს ეს სიტყვები ძალიან მომეწონა და თქვენც გაგიზიარებთ: “ჩვენ ათენის მკვიდრნი, არასოდეს ვამბობთ, რომ კაცი, რომელიც პოლიტიკაში არ ერევა, არის კაცი რომელიც საკუთარი საქმით არის დაკავებული, ჩვენ ვამბობთ რომ ის არის კაცი, რომელსაც აქ არაფერი ესაქმება.“

ძვ.წ. 460-396.
პოლიტპატიმართა
ჯგუფის სახელით
გ. რურუა. გლდანის ციხე“.

●

დიახ, ჟორიკას ისეთი მთავრობა სურს რომელსაც გააკონტროლებს! ძველ დიდებას და ძალაუფლებას დაიბრუნებს. ძველებურად დახოცავს მოწინააღმდეგეებს. წაგლეჯავს ქონებას, დაატერორებს მათ ოჯახს თუ საახლობლოს და წლების შემდეგ როცა უგზოუკვლოდ დაკარგულის თუ გაუხსნელი მკვლელობის სტატუს მინიჭებული, მის მიერ ვერაგულად დახოცილი ყოფილი ახლობლების თუ შორებლების შვილები ჰკითავენ ვინ მოკლა მათი მამა, ურცხვად გადააბრალებს სპეცსამსახურებს ან არეულ დროს და მშვიდად გააგრძელებს მათთან მეგობრობას თუ დანათესავებას... რაც შეეხება პროკურორების ლანძღვას უარესის ღირსები არიან რადგან პირსისხლიან მკვლელზე სააკაშვილის ზეობის ხანაშიც დაუფარავად იწერებოდა პრესაში თუ სოციალურ ქსელში. სს დევნის დაწყების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ პრესაში გავრცელებული ცნობაა. გასაგებია, რომ დიდი მიხეილის დიდ იდეოლოგ ნიკოლოზ რურუას ძმას მაშინ ვერაფერს გაუბედავდნენ. მეტიც, ძმები რურუების იდეოლოგია პირნათლად შეისისხლხორცა მიხეილმა და მისგან მართულმა სამართალდამცავებისგან თუ უკანონო შეირაღებული ზონდერებისგან შემდგარმა ბანდებმა. არახალია, რომ მათ უამრავი უდანაშაულო ახალგაზრდა, პირადი ინტერესით თუ ხალხის დასაშინებლად ჯერ დახოცეს და შემდეგ იარაღი ჩაუდეს. მათგან მართული მედია კი უტიფრად მოიხსენიებდა მოკლულ ახალგაზრდებს კრიმინალებად.

როგორც ამბობენ, სწორედ ჟორიკა რურუა „კრიშავდა“ ოთხმოცდაათიან წლებში ლაურა ღაჭავას ნარკოტიკების ბიზნესს და როცა აეროპორტში, ტელევიზორის ყუთში ჩაწყობილი „ნორფინებით“ ღაჭავას პოლიციამ „დაკავება“ გაუბედა ჟორიკამ ჯერ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თურმე, პოლიციელებს და შემდეგ „ზემოთ“ ჯაბა ჩარია. ნუ, ბიზნესების „დაკრიშვა“, „ახევა“, რა მოსატანია იმ დანაშაულებებთან შედარებით, რომელსაც ჟორიკა ახორციელებდა. რათქმაუნდა დამხმარეებიც არ აკლდა „ბოროტების საძმოდან“რომლის ნაწილი ცოცხალი აღარაა, ნაწილი დიდ ბიზნესშია და ჩუმადაა, ნაწილი ყველას და ყველაფერს ჩამოშორდა. ამბობენ, რომ „ბოროტებმა“ ტკბილი და მურაბა ურთიერთობა ვერ შეინარჩუნეს, მაგრამ დაღვრილი სისხლი მათ ნებისმიერ მომენტში გააერთიანებთ განსაკუთრებით მაშინ თუ ერთ-ერთი პროკურატურამ აალაპარაკა. რთულია, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ხანდაზმულობის იმედზე ყოფნა როცა ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საფუძველი არსებობს. მთავარია, პროკურატურამ გაბედოს, გამოძიება დაიწყოს და მოწმეები, მტკიცებულებები იმაზე მეტი იქნება ვიდრე წარმოუდგენიათ. აი, რას წერდა 2008 წელს ფორუმის ერთ-ერთი წევრი “ძმები რურუები ცნობილი მხედრიონელი გალავარეზები. რაც მაგათმა ხალხი დახოცეს, ეხლაც სააკაშვილის გვერდით არიან და ზედმეტად ხმის ამომღებს ისევე დაახლიან ტყვიას. გაავსეს თბილისი თავისი და სხვისი ტრუპებით, იქით მეტეხის საძმო და კავსაძელები ხოცავდნენ ერთმანეთს. იოსებიძელები და რავი კიდე გლდანის, სვირის, ვაკის, მთაწმინდის და მთელი უბედურება. მაგრამ ვერის საძმო „ბოროტები“ იყო მაინც ყველაზე დერსკი, თან მაგათ თავის დროზე მურმანა ომანიძე კრიშავდა, ზვიადას დროს საგარეო მინისტრი, ქურდულში ჩლაიძე იყო მაგათი კრიშა და ბოზურში ჯაბა იოსელიანი. მოკლედ ქართული მაფია შედგა“ იმავე წელს აწგანსვენებული ექსპერტი, ნიკო ორველაშვილი ინტერვიუში სააკაშვილზე ამბობდა „იგი საკუთარი გარემოცვის ტყვეობაში აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, რურუები მისცემენ სააკაშვილს უფლებას, რომ პოსტი დატოვოს? ჯერ იკითხეთ რა შეუძლია ჟორიკა რურუას, რამდენი ხალხი ჰყავს გამწარებული და დასკვნა შემდეგ გააკეთეთ“, **ირინა სარიშვილმა** 2007 წელს მედიის საშუალებით განაცხადა „პირველად ვაკეთებ ოფიციალურ განცხადებას, რომ ოპერაციას შოთა კვირაია ხელმძღვანელობდა, ასევე ამ ტერორისტულ აქტში ხელმძღვანელი პირები დღევანდელი სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენლები ნიკა და ჟორიკა (გიორგი) რურუები იყვნენ.“ ყოფილი მხედრიონელები აცხადებდნენ, რომ გია ჭანტურიას მკვლელობასთან მათ კავშირი არ აქვთ, მეტიც, **დოდო გუგეშაშვილი** ამტკიცებდა, რომ 1994 წლის 3 დეკემბერს ნიკა რურუა უკვე ამერიკაში იყო, თუმცა

არაფერს ამბობს, სად იყო გიორგი, ანუ ჟორიკა რურუა... საქართველოს ტრაგიკულ ისტორიას ახსოვს ვინ იყვნენ თორაძეები და ვინ არის **თამუნა თორაძე**. აღსანიშნავია, რომ ნიკა რურუას სამოქალაქო პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიაში მიმდინარეობდა, სწორედ იმ ვერის სასაფლაოსთან, სადაც 1992 წელს მისმა „საძმოს“ წევრებმა თორაძეების ოჯახის სამი წევრი უმოწყალოდ ჩახოცეს და შემდეგ დარჩენილ ოჯახის წევრებს „ბეტეერით“ მიადგნენ.

თამუნა თორაძე: „კარებზე აბრახუნეს, ხმა არ გავეცით, მერე ფანჯარაში მოგვიბრახუნეს: კარები გააღეთ! ვიცით, რომ აქ ხართ! ლიმონკებს შემოვყრით და ყველანი დაიხოცებით! ერთმანეთს ვუყურებდით და არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. ბოლოს კახამ თქვა გაეღო კარები თამრიკოს. თამრიკომ კარები გააღო და სთხოვა მკვლელებს, ჩაეწიათ ავტომატები, ბავშვებს შეაშინებთო. ბიჭის ხმა გაისმა თორაძეები აქ არიან, ხო?! კახამ დაიძახა, აქ ვართ ხელცარიელებიო. შემოლაგდნენ გაფითრებული დაძაბული სახეებით წინ მომარჯვებული ავტომატებით და მიუშვირეს ორივეს! კახა იმედოს გადაეფარა, ბიჭო, არ ისროლო, უიარაღოდ ვართ და შეეცადა აეწია ჟორიკა რურუას ავტომატი, მაგრამ კიდევ იყვნენ წვერებიანი და ნიღბიანი ბიჭები, რომლებმაც იარაღი მიუშვეს იმედოს და კახაზე! დაყარეს ძირს ორივე ძმა ჩვენს წინ, ვუყურებდი და ვხადი ბოლო ხმაზე! მაგრამ ვერავინ შევაჩერე! ვერც ავდექი! დავინახე წვერებიანი როგორ გავიდა ოთახიდან, როცა დარწმუნდა, ორივე ძმა მოკლული იყო! ჟორიკა რურუა არ ვიცი, რამ გააბოროტა ესე, რომ მაკაროვი ამოიღო, ჩვენსკენ გამოიშვირა! თვალით ჩამოგვიარა ბავშვებს, მერე კი დაბლა დაწია და სროლა გააგრძელა უკვე მოკლულ უსულო სხეულზე! თითქოს ვითვლიდი, ეხლა მორჩება, ეხლა და, მგონი, 7 დავითვალე! გატრიალდნენ და გიჟებივით გარბოდნენ. ჰაერში ისროდნენ უკვე სახლიდან გასულები! თითქოს ზეიმობდნენ და აგებინებდნენ ერთმანეთს! რომ მორჩა. მოვკალით! არ ვიცი. ეს რანაირად შეიძლება გადმოგცეთ, რო თქვენც შეიგრძნოთ ამ თვითეული არა ადამიანის ჩადენილი!“ ამ მოგონების ავტორმა, თამარ თორაძემ ათწლეულების შემდეგ „რიტორიკული“ კითხვა დასვა „ნუთუ არ ახსოვს ჟორიკა რურუას ჩემი სახე?! ჩემი თვალები?! როცა დაწია ჩემსკენ მომართული იარაღი და გააგრძელა მკვდარ სხეულზე სროლა?! ნუთუ არასოდეს შეაწუხებს იმის შიში, რომ მოწმე დატოვა?!ან იმ მეორეს (წვერებიანს) დინჯად რომ მიაბიჯებდა?!. შეიძლება ადვილია ვიღაცებისთვის ამის მოსმენა ან წაკითხვა! მერწმუნეთ, არ არის ადვილი ამ ყველაფრის შემსწრემ ცხოვრება გააგრძელო და რამე კანონის იმედი გქონდეს, იმ ქვეყანაში და საერთოდ დედამიწაზე, სადაც კანონს იყიდი თუ ბევრი ფული გაქვს! იმასაც არ დავივიწყებ, რომ ეს ადამიანები ერთ დროს გაჭირვებული ოჯახის შვილები იყვნენ! „ვლასტზე“ და „მაფიოზობაზე“ ოცნებობდნენ! თორაძეების მეგობრის გელოვანის მკვლელობაზე მხოლოდ ბრალი წაუყენეს გიორგი რურუას. თორაძეების სამართლიანმა დაცვამ, შეიწირა გია ბარამიძე, რომელიც „ბოროტებმა“ სახლიდან პოლიციის დახმარებით გამოიტყუეს და „ბოზურად“მოკლეს, მანამდე კი მის სახლს „მუხა“ ესროლეს. შემდეგ მისი ძმაც დაასამარეს. თორაძეების ოჯახის ხუთ გვამს ჯერ უფროსი ძმის და ორი წლის შემდეგ ჩვიდმეტი წლის ძმის გვამიც დაუმატეს თუმცა დღემდე ვერ მიაგნო თამუნა თორაძემ სად არიან დასაფლავებულები, რომ ოჯახის წევრებთან ერთად დამარხოს...

დავით კეკუას თვითმკვლელობა არც მის ოჯახს სჯეროდა და არც მის ახლობლებს. მისმა მეუღლემ კეკუას მკვლელობაში საჯაროდ დაადანაშაულა ძმები რურუები. დიახ, კეკუას მართლაც ჰქონდა უტყუარი მტკიცებულებები თორაძეების ოჯახის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ მოასწრო საქმის ბოლომდე მიყვანა. სამაგიეროდ რურუებს არ უყვარდათ საქმის გადადება და ლოდინი...თვითმხილველები პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ ვერის საძმოს წევრები მათ შორის **ჟორიკა რურუაც**, სასაფლაოს კუთხესთან, სწორედ თორაძეების ავტომანქანას ელოდნენ. „ბოროტებმა“ მკვლელობიდან რამდენიმე წუთის შემდეგ თორაძეების სახლში გადაინაცვლეს. სახლში დარჩენილებმა თავი მეზობელს შეაფარეს. „ბოროტები“ სახლში შეცვივდნენ და ძვირფასი ნივთების შეგროვება დაიწყეს. შემდეგ კი თორაძეების მოსაძებნად მეზობლებს მიაკითხეს. მანქანაში მყოფი **ლაშა თორაძე** დედ მამასთან ერთად ადგილზე გარდაიცვალა. თვითმხილველები ყვებოდნენ, რომ **იზო თორაძე** საკონტროლო გასროლით მოკლეს. მომხდარის შემდეგ გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ზაურ თორაძე პოლიციის მოთხოვნას გაეჩერებინა მანქანა არ დაემორჩილა, რის შემდეგაც სამართალდამცავებმა „ვაზ 21-07“ მარკის ავტომანქას ცეცხლი გაუხსნეს. პოლიცია ირწმუნებოდა, რომ **ზაურ თორაძეს** თან ავტომატი ჰქონდა. **იზო ჟურხულს** „ლიმონკა“. მანქანას სამასამდე ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. (სწორედ ასეთი ხელწერა დანერგა შემდგომ მიშას იდეოლოგმა რურუამ და წარმატებით ახორციელებდნენ 2004-12 წლებში) „ბოროტებთან“ ერთად თორაძეების სახლს ფორმიანები და უფორმოები ერთად ძარცვავდნენ. ადგილზე გახლდათ **გელა ლანჩავაც**... ჟორიკა რურუას გარდა თამარის მიერ ხსენებული წვერებიანი და ნიღბიანი „ბიჭები“ დღეს თუ ცოცხლები არიან აუცილებლად წარმატებული ბიზმესმენები იქნებიან! ოთხმოცდაათიანელ „ბოროტებს“ მხედრიონელებს“ და სხვა კრიმინალურ ჯგუფებს რომლებსაც ბოროტმოქმედება აერთიანებდათ და სხვა უამრავი ჰქონდათ საერთო. ხელისუფლებამ და ქუჩამ თითქმის ერთდროულად 1995 წელს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. საძმოები სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიფანტნენ ვიდრე ქვეყნის სათავეში დიდი მიხეილი „კრიმინალების და ქურდების რისხვა“ არ მოგვევლინა პრეზიდენტად და აქტიურად დაიწყო „ბოროტების“ რეანიმაცია, რაც მშვენივრად გამოუვიდა და უკვე ჩარეცხილი კრიმინალები – პოლიტიკოსებად და ბიზმესმენებად აქცია, მართალია ბოლოს „ბიზნესწილების“ ანუ დიდი ფულის გამო მაინც დაერივნენ ერთმანეთს, „**ვერელი ბოროტები**“, რომ სხვა დონე იყო ვერ გათვალა „**უდელმა**“ **ვანომ**, მაგრამ მანამდე შეხმატკბილებულად ძარცვავდნენ ხალხს და ქვეყანას (არც ეხლა აკლებენ)... „ყველაფრისტი“, დემოკრატიის მეხოტბე, სისხლის მსმელი, კრიმინალები, ერთნაირი შემართებით ბიზნესმენებიც იყვნენ და ზონდერებიც. 2007 წელს „იმედის“ დარბევის ფაქტზე, **გიორგი რურუა** მისგან მართულ ზონდერჯგუფთან ერთად სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა... წლების წინ ინტერვიუში „ყოფილი „მხედრიონელი“ **თემურ ხაჩიშვილი** ყურადღებას ამახვილებს, თუ რა პოლიტიკურ წიაღში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „მხედრიონი“: – „მხედრიონში“ ჩამოყალიბდნენ, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით, პირველ რიგში – გიგა ბოკერია, ასევე ძმები რურუები, მამა-შვილი გაბაშვილები და სხვები. სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენდნენ „მხედრიონის“ იმ მანკიერ მხარეს, რასაც საზოგადოება გმობდა. მე არ მსმენია პატიოსანი და, იმავდროულად, ფულიანი არც „მხედრიონელი“, არც ზვიადისტი პირადად მე – მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თანამდებობზე ვიმუშავე, თუმცა როგორც ხედავთ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა უმწვავესია იმ ფონზე, როცა უღირსი „მხედრიონელები“ ფულის შოვნაზე იყვნენ ორიენტირებულნი და დღეს უზრუნველად ცხოვრობენ. ოთხოცდაათიან წლებში დამნაშავეთა სამყაროს პოლიტიკაში ჩარევამ პოლიტიკის კრიმინალიზაციას დაუდო დასაბამი. „მხედრიონის“ პოლიტიკური ამბიციებით გამოსვლამ ქურდული კონტრკულტურა ორად გაყო – ისინი, ვინც პოლიტიკაში მოვიდა და ისინი, ვინც ქურდული განდგომილობა დაიცვა. 1992 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სისხლიანი მოვლენებით. **მიხეილ სააკაშვილმა** სწორედ ეს ადამიანები „ჩაიხუტა“ გატეხილი სახელითა და ძალიან მძიმე რეპუტაციით „უპატრონა“ და მათთან ერთად არანაკლები ბოროტება აკეთა ვიდრე ოთმოცდაათიან წლებში აკეთებდნენ „ბოროტების“ ორდენის კავალრები ნიკა რურუა არავის გაუსამართლებია მის მიერ ჩადენილ ცოდვათა გამო. არავის მოუთხოვია მისთვის პასუხი, ამიტომ წავიდა ის ამქვეყნიდან გმირის სახელით, დიდი მელომანის მანტიაში გახვეული. მეტიც, თურმე რურუამ ააყვავა „ქართული კინო“. არადა, თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია „აყვავებული“ „ქართული კინო“ რომ დავინახოთ: კინოთეატრებში გახსნილი სახინკლეები და სასტუმროები, სუპერმარკეტები და სალონები. ჟორიკა რურუა კი დაკავებულია არცთუ მძიმე ბრალდებით და იმასაც აპროტესტებს. არადა თბილისში ყველამ ყველაფერი იცის. უშუალოდ ჟორიკა რურუა და მისი ჯგუფი – ყოფილი მხედრიონელები იდგნენ იპოდრომის გასხვისების უკან 2007 წელს. გავრცელებული ინფორმაციით, ძმებმა რურუებმა უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა ოთხმოცდაათიან წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის ეგზეკუციასა და ძარცვაში, მათ სიკვდილის თესვა, ნარკოტიკების გასაღება და მოსახლეობის დაშინება თბილისში განაგრძეს. იდეალისტ რურუას დღესაც სოლიდური შემოსავალი აქვს, თურმე „ახეულ“ თუ ნებით დათმობილი წილებიდან არადა, მიშას დროს დაკავებულებს პირველ რიგში კუთვნილ, კანონიერ ქონებას ართმევდნენ. ამბობენ, საკაშვილმა ის მთავარ დასაყრდენად გაიხადა და ყველაზე მსხვილი ბიზნესების კონტროლი ჩააბარა. 2007 წლის 7 ნოემბერს თბილისში აქციის დატუ „იმედის“ სასტიკი დარბევა – ისინი ყოველთვის წარმოადგენდნენ საკაშვილის ყველაზე ძლიერ დასაყრდენს და აკონტროლებდნენ ყველაზე საშიშ ზონდერ დაჯგუფებებს როგორც ოთხმოცდაათიან, ისე 2003–2012 წლებში... ძალაუფლების დაბრუნების ჟინით შეპყრობილმა „მთავარი არხის“ წილი შეიძინა დემოკრატიის დაცვის სახელით და ამისთვის დიდი თანხა გადაიხადა. დაკავებამდე ისე გათავხედდა პარლამენტის პიკეტირება დაანონსა. გიორგი რურუა ისევ რჩება მიხეილის მთავარ ფინანსურ დასაყრდენად და თუ მოახერხებს, ის აუცილებლად იძიებს შურს ყველა იმ ადამიანზე, ვინც მას და მის ძმას ძალაუფლება გამოაცალა ხელიდან. პირველ რიგში კი შურს იძებს იმ პოლიციელებზე, რომლებმაც ის 18 ნოემბერს, მიტინგზე მიმავალი დააკავეს. ასე, რომ დროა პროკურატურამ მისი სისხლიანი წარსულის გამოძიება დაიწყოს და სამართლიანობა აღადგინოს.

ელენე ნემსაძე

თქვე ცნობილო ავაზაკებო, ჩათლახებო და ტრაწიანო მაიმუნებო, ლავროვს არ შემოვუშვებთო რომ გაიძახით, ლავროვი თქვენ არ შემოუშვით 2008-ში და აგერ, თბილისიდან 40 კილომეტრში არ დგას ტანკით?

როგორც გვატყობინებენ, 2020 წლის 14–15 მაისს თბილისში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 130-ე შეხვედრა გაიმართება. თურმე მინისტრთა კომიტეტი შედგება ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისგან ან სტრასბურგში მათი მუდმივი წარმომადგენლებისგან. ვინაიდან, საქართველო 6 თვით ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანაა, უნდა დავემორჩილოთ ამ ორგანიზაციის წესებს და აღნიშნული სხდომა ჩვენს დედაქალაქში გავმართოთ. თუმცა თავმჯდომარეც რომ არ ვიყოთ, ისედაც მოგვიწევდა, როგორც წევრს. პრინციპში, ყველაფერი იდეალურად იქნებოდა, რომ არა რუსეთის ფაქტორი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

ალბათ, გახსოვთ, რუსეთი ოკუპანტია!!!

და ამიტომაც არ გვაქვს ხალისი, თბილისელი სომხის (ასე უწერია ბიოგრაფიაში) ოჯახში გაზრდილი ლავროვი ჩვენს მიწაზე ვიხილოთ!

აგერ, აქუს კნეინა, ნინო ჯანგირაშვილი ხელისუფლებას ემუქრება, თუ მაგ გათახსირებულს საქართველოში შემოუშვებთ, ეგრევე დაგამხობთო. გაიგონეთ? არც მეტი, არც ნაკლები, დაგამხობთო!

ნუ, ეხლა... ამან რომ მოინდომოს, დიდი-დიდი, აქუ დაამხოს (ეგეც გაუჭირდება), მაგრამ ხომ მოიძებნება ქვეყნიერებაზე ერთიორი დებილი, რომელიც ამას დაიჯერებს?

მოკლედ, ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში, სადაც რუსეთუმე ნინო ბურჯანაძე, როგორც ქიზიყს იტყვიან, ზემო თაროს უზით, ატყდა ერთი ამბავი — ეს როგორაო? რანაირადო? ნუთუ ოკუპანტი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში უნდა ჩამოვიდესო? არაო, ვერაო, ამას ჩვენ არ დავუშვებთო, ჯერ გავრილოვის ამბავი არც კი მოგვინელებია, ახლა ლავროვიო! გეგონება, იგივე ლავროვს და იგივე პუტინს ქართულ მიწაზე შემოსვლა უჭირთ, თუ უნდათ, ხვალვე დაადებენ თავებსა და დაერჭობიან ცხინვალში და სოხუმში.

მოსკოვში განსწავლული ელენე ხოშტარია კვლავაც თავს იგიჟიანებს და „შვიშტოკს“ ამზადებს, ლავროვს აეროპორტიდანვე გავაბრუნებთ უკანო. **ეს ის ხოშტარიაა, რომელმაც თავის დროზე მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტი (МГИМО) დაამთავრა და არ დაიჯერებთ, მისი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო სერგეი გავრილოვი.** ჰოოო, ხალხო, ის გავრილოვი, რომელიც თბილისში ჩამოიყვანეს, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასვეს, შემდეგ „სვისტოკებით“ მიუხტნენ, 21 ივნისის ღამეს პროვიკაცია მოაწყეს და ამ ყველაფერს „გავრილოვის ღამე“ უწოდეს. გავრილოვი რომ ელენე ხოშტარიას „უჩიტელი“ იყო, ამის დამადასტურებელი ცნობა ორგანიზაცია „სირცხვილის კორიდორმა“ მოიპოვა და ა, ბატონებო, აგერ გთავაზობთ.

ვერ დაგიმალავთ... მიხო საკაშვილის ყოფილი რძალი, უკრაინის პოლიციის ყოფილი „უმფროსი“ ხატია დეკანოიძეც ამოხტა ჩექმებიდან:

„შემიძლია გავაფრთხილო საქართველოს ხელისუფლება, მოეგონ გონს. ნუ დაუშვებენ „მეორე გავრილოვს“, იმიტომ, რომ სერგეი ლავროვის და რუსეთის დელეგაციის აქ შემოშვებას არავინ აპირებს. ეს არის ღირსების საკითხი და ჩვენი ზომებიც გადის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ზღვარზე“.

ხედავთ, რამდენ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება დეკანოიძემ? არა, რა�ა, პოლიციელის მზერა მაინც სხვა

რამეა, ამიტომაც ქაჩავს ყოველთვის თვალებს. ესე იგი, როგორც ხატია აცხადებს, ხელისუფლება უნდა მოეგოს გონს. მართალია, ხატია აცხადებს, ხელისუფლება უნდა მოეგოს გონს. მართალია, აქ მრავლობითსა და მხოლობით ერთმანეთში ურევს, იძახის, ხელისუფლება გონს უნდა მოეგონო, მაგრამ არაუშავს, მას საერთოდ არ ევალება ქართული ენის გრამატიკის ცოდნა. მეორე — ნუ დაუშვებთ „მეორე გავრილოვსო“, ლავროვისა და რუსეთის დელეგაციის შემოშვებას აქ არავინ აპირებს. მე არ ვიცნობ ამ ქალს, თუ ვინმე იცნობთ, გადაურეკეთ და უთხარით, რომ რუსეთის დელეგაცია უკვე საქართველოშია, თბილისიდან 40 კილომეტრში, თანაც ტანკებით „მობრძანებულან“, ეგ ჩემისები!

გახსოვთ 2008 წელი? ეეეჰ... მაგას რა დაგავიწყებთ? ჰოდა, მაშინ ისიც გემახსოვრებათ, აგვისტოს 7-ში თუ 8-ში, საღამოს რომ მოაჭორეს (შეიძლება არც მოაჭორეს და სიმართლე იყო) რუსები უკვე დიღომში არიან, სადაცაა თბილისის ცენტრში შემოვლენო... და რა მოხდა იმ საღამოს? შეიქმნა საცობები კახეთისკენ მიმავალ ტრასაზე და ასევე წითელი ხიდისკენ მიმავალ გზაზე. სულ ესენი იყვნენ, დეკანოიძის მეგობრები, ძმაკაცები, დაქალები, მათი ოჯახების წევრები, თანამდებობის პირები. გაჰქუსლეს, ხალხო, თავშესაფარს ეძებდნენ სომხეთსა და აზერბაიჯანში. ახლა ესენი გვეუბნებიან, რუსეთის დელეგაციის შემოშვებას არ ვაპირებთო... კი, მაგრამ, თქვე ოღრაშებო და გამოჩენილო ტარტაროზებო, 2008-ში „დელეგაცია“ რომ მოიწვიეთ ტანკებით, მთელი შეიარაღება რომ გაატანეთ, ტერიტორიები რომ ჩააბარეთ და შემდეგ ერთ კვირაში 70 სტრატეგიული ობიექტი გადაუფორმეთ, ეგ როგორ იყო?!

ან კიდევ... ამ ამბებიდან ერთ კვირაში სააკაშვილი, ბაქრაძე, ვაშაძე და მთელი ბანდა რომ ესტუმრეთ მოსკოვში პუტინსა და ლავროვს, ფეხებში რომ ჩაუვარდით, მუხლები რომ დაუკოცნეთ, ეგ როგორ იყო?!

ააა... ეგ არაფერი, ხომ?! ეგ არ ითვლება, ხომ?!

ჰოდა, ახლა, თქვე ცნობილო ავაზაკებო, ჩათლახებო და ტრაწიანო მაიმუნებო, ვის ეჭიმებით, რას ეჭიმებით, რას ბოდიალობთ?!

ჰმ... ლავროვს არ შემოვუშვებთო! ლავროვი უკვე შემოშვებულია, თქვენი წყალობით, თბილისიდან 40 კილომეტრში დგას ტანკით და როცა მოეხოშება, თბილისშიც შემოვა!

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, შეიძლება ლავროვის გამო შეხვედრა სტრასბურგში ჩატარდესო. მერე რა, თუ სტრასბურგში ჩატარდება, რა შეიცვლება ამით? არც არაფერი, თუ მტერს არ დაველაპარაკებით, დავრჩებით ისე, როგორც ვართ!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

საქართველო გადარჩება, რადგან, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ჩვენ მკერდზე დავიდგით ქრისტიანობის საყდარი

ვითხოვ ხელისუფლებისაგან: საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონი ზვიადისა და მის თანმხლებ პირთა გადარჩენისათვის, მფრინავ ზაურ ბედიას საქართველოს გმირის წოდება მიენიჭოს

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამაო, როგორ შეაფასებთ საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენებს. მხედველობაში მაქვს პეტრე ცაავასთვის ეპარქიის ჩამორთმევა. რას ფიქრობთ, რატომ დუმს იგი ახლა?

— სახელითა და მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

პირადად მე მისი მომხრე არასოდეს ვყოფილვარ და არ ვიქნები, რამეთუ ის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა და კერძოდ, სააკაშვილის თანამზრახველია, მაგრამ საპატრიარქოსთან მიმართებაში, მისი ნათქვამი, ნაწილობრივ, სიმართლეს შეესაბამება. რაც შეეხება მის დუმილს ახლა. როგორც იკვეთება, საპატრიარქო მასთან გარიგებაზე წავიდა, რათა პეტრე ცაავას არ დაემძიმებინა მხილების ფაქტები, რის სანაცვლოდაც, ალბათ, მას რომელიმე ეპარქიას ჩააბარებენ.

მახსენდება ჩემი მდგომარეობა 1990-იან წლებში. მოვითხოვდი, დაეტოვებინა საქართველოს მსოფლიოს ელესიათა ეკუმენისტური საბჭო, ასევე მოვითხოვდი, მიგვეზედა იეღოველთა სექტისთვის, რომელიც ღრმად იდგამდა ფესვებს. ჩემი შეგონება ყურად არ იღეს, პირიქით, მათ სახელზე (სექტანტების) ვაგონებით შემოსული პროდუქტები ქართულ მოსახლეობაში რიგდებოდა. ამ და სხვა უკეთურებათა გამო, რომელიც ღრმად მკვიდრებოდა საპატრიარქოს წიაღში და გამოსწორების ამინდს ვერ ვხედავდი, ამის საფუძველზე, 1995 წლის 14 მაისს, დიდი მეფის თამარის ხსენების დღეს, ჩემი მრევლით, განვუდექი საპატრიარქოს და დროებით საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს დავემორჩილე, რამეთუ ვერ ვიქნებოდი იმ წიაღში, საიც დგანან პარლამენტის წინ მამათმავლებთან და სხვა ზნედაცემულებთან ერთად და ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვირიან უაზრო, არაფრისმთქმელ, უპერსპექტივო ფრაზებს. უფრო სწორად, ჩადიან ერისა და სარწმუნოების საწინააღმდეგო ქმედებებს, რომელიც აფერხებს ქვეყნის სასიცოცხლო პროცესებს. ყოველივე ამის ავტორები კი მათი „ნაციონალი“ მშობლები არიან. მოვიყვან ამონარიდს გიგი უგულავას გამოსვლიდან: „ცოტა თავისი ბიოგრაფია გაიხსენონო“... იქნებ თვით უგულავას გაეხსენებინა თავისი ბიოგრაფია. გაეხსენებინა და თვითონ და ძმანი მისნი დაფიქრებულიყვნენ ნამოქმედარ შავ-ბნელ საქმეებზე. როგორ მართავდნენ სინოდის კრებებს, როგორ მართავდნენ ეპარქიებს.

ახლახან საქართველოს ეროვნულ სათათბიროში (იქ ყველანი ასაკოვანი პატივცემული პიროვნებები არიან) გავწევრიანდი. მათ არც თანამდებობა, არც სხვა რეგალიები არ აინტერესებთ. ჩვენი ვალია, ახალგაზრდებს, ჩვენ მომავალ თაობას მივაწვდინოთ მართალი, საღი სიტყვა. გვსურს ჩავუნერგოთ მათ ღმრთის შიში, სიყვარული, ჩვენი ერის ღირებულებები, ყურს ნუ დაუგდებენ სატანური, „ნაცმოძრაობის“ სექტის წარმომადგენლებს, ან კიდევ ამერიკის ზოგიერთ მათმავალთა დამცველ კონგრესმენებს, რომლებიც ჭკუას აქეთ გვასწავლიან.

მალე კვლავ გამოვცემთ გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“, რომელიც მოყოლებული 1992 წლიდან იყო ქართველი ხალხის სულიერი საზრდო.

მინდა შევეხო მეტად საინტერესო ფაქტს და გთხოვთ სრულყოფილად გამომიქვეყნოთ. 1992 წლის 7 იანვარს, ქრისტესშობის დღეს, როცა ბატონი ზვიადი საქართველოდან განდევნეს, მან სომხეთს შეაფარა თავი. ამ საზარელი ფაქტის ავტორი შევარდნაძე იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდა, მას დასაჭერად ჰქონდა საქმე. საქართველოში რომ დაბრუნებულიყო, მთელი თავისი სახსრები მოანდომა იმას, რომ საქართველოში მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. აფინანსებდა პუტჩის ლიდერებს, აწვდიდა იარაღს, მისი მიზანი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ლიკვიდაცია.

ამ გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, ბატონმა ჯოჰარ დუდაევმა გამოგვიწოდა. მან თავისთან იხმო გამოცდილი მფრინავი ზაურ ბედია, გაგზავნა სომხეთში და დაავალა ბატონი ზვიადის ჩეჩნეთში გადაყვანა. სომხეთის პრეზიდენტი კი მკაცრად გააფრთხილა, რომ ბატონ ზვიადს თმის ღერიც არ ჩამოვარდნოდა. ეს ამბავი შეიტყო შევარდნაძემ და გადაწყვიტა ბატონი ზვიადის ლიკვიდაცია თანმხლებებთან ერთად. თვითმფრინავი, რომელიც სომხეთის აეროპორტიდან აფრინდა, შევარდნაძის ბრძანებით, მას გამოედევნა სამი ავიაგამანადგურებელი. მათ ზაურ ბედიას უბრძანეს თვითმფრინავის უკან დაბრუნება, მაშინ ბატონმა ზაურმა თვითმფრინავი მოატრიალა და დაბლა, მიწისკენ დაეშვა. მისი თვითმფრინავი ავიაგამანადგურებლებს თვალთახედვიდან დაეკარგათ. მათ ეგონათ, გამსახურდია სომხეთში დაბრუნდებოდა, მაგრამ გამოცდილმა მფრინავმა, ბატონმა ზაურმა თვითმფრინავი მიწიდან 20-30 მეტრის სიმაღლის ფრენით გროზნოს მიმართულებით წაიყვანა. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ბატონმა ზაურმა პრეზიდენტი, ბატონი ზვიადი თანმხლებ პირებთან ერთად მშვიდობიანად ჩაიყვანა გროზნოში.

ჩემი თხოვნა იქნება ხელისუფლების მიმართ, ვისი პრეროგატივაც არს, ბატონ ზაურ ბედიას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას და მისი თანმხლები პირების (150 კაცის) გადარჩენისათვის საქართველოს გმირის წოდება მიენიჭოს, ამას თუ ხელისუფლება არ გააკეთებს, დარწმუნებული ვარ, მომავალში, ზაურ ბედიას აუცილებლად მიანიჭებენ ამ წოდებას.

— მამაო, კარგია, რომ ვიხსენებთ საგმირო საქმეებს, მაგრამ როგორ უყურებთ საქართველოს მომავალს?

— ჩვენ ისეთ უკეთურებათა მორევში აღმოვჩნდით, მიწიერთაგან არავისი იმედი არ მაქვს, მხოლოდ ღმერთსა ვარ მინდობილი.

მაშინ, როცა დუმდა სრულიად საქართველო, მე, ერთი მღვდელი, მრევლთან ერთად, ვებრძოდი მსოფლიო სატანიზმს სოროსის ხელმძღვანელობით, რომელიც აცხადებდა: ქართველებს საკუთარი ისტორია უნდა დავავიწყოთ, რათა სხვა ერებში ისე ავთქვიფოთ, ვერავინ მიხვდეს, ვინ ქართველია და ვინ — არაო. ამას ტაშს უკრავდა გრანტებით გაზულუქებული შინაური მტრები გიგა ბოკერიას ხელმძღვანელობით.

დღეს ფარისევლებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი და ურთიერთს უღიმიან, სინამდვილეში კი მგლებივით არიან და როდის დაერევიან ერთმანეთს, თვით არ უწყიან.

ღმერთმა არ დაუშვას, რომ ეს მოღალატენი ხელისუფლებაში მობრუნდნენ, მაშინ ვნახავთ, რა ქაოსი დატრიალდება. დღევანდელი ოპოზიციის წარმომადგენელნი ყველა ნაციონალების და სისხლისმსმელი მიშას თანამზრახველები არიან.

გიჟი სააკაშვილის დირექტივებით ხელმძღვანელობს სამი ალქაჯი: სამადაშვილი, ხოშტარია და ბოკუჩავა. ვინ მისცა მათ უფლება ერის სახელით ილაპარაკონ. ჩასაფრებულნი არიან, თუ ვინმეს რაიმე შეეშლება, იმ წამსვე წივილ-კივილს იწყებენ. საზოგადოების აზრით, ამ სამ ეგზალტირებულ ქალს თუ იზოლაციაში მოაქცევენ, შეიძლება მეტ-ნაკლებად დაწყნარდეს პროცესები.

ქართველმა ერმა, სახელოვანმა მამულიშვილებმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, საუკუნეებით ატარა ჩვენი პატარა საქართველო თავისი ღირსებით, იდენტობით, სარწმუნოებით. გავაცნობიეროთ, საიდან მოვდივართ, რანი ვართ. საითკენ ვაპირებთ წასვლას. აქეთ რომ გვასწავლიან ჭკუას, იქნებ ჩვენგან უნდა ისწავლონ?! ნურავინ ერევა ჩვენ საშინაო საქმეებში. ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქვეყანა, რომელსაც მართავს ღმერთი, ის განაგებს ყოველივეს. ჩვენ მრავალ ქარცეცხლში გამოვლილი ერი ვართ.

ერს დიდი ილიას სიტყვებს შევახსენებ:

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისთვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეთ მკერდი, ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრენ იგი...“

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა მკვლელობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N1-2)

იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი

იუგოსლავიის და სერბეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, 1989–1997 წწ სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, 1997–2000 წლებში იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი 2006 წლის 11 მარტს, 64 წლის ასაკში ჰოლანდიაში, ჰაგის ციხეში გარდაიცვალა. ზოგი მას თვლის იუგოსლავიის დაშლის და ამ პროცესის თანმდევი სისხლისმღვრელი კონფლიქტების ერთ-ერთ მთავარ ფიგურად, რაც 90-იანი წლების დასაწყისში განვითარდა და 1999 წელს ნატოს შეიარაღებული ძალების მასშტაბურ სამხედრო ჩარევით „დაგვირგვინდა“. ამ კონფლიქტების მიზეზებსა და მიმდინარეობაზე პრინციპულად განსხვავებული პოზიცია აქვთ არამარტო ამ კონფლიქტების მონაწილე მხარეებს, არამედ მთელ მსოფლიოს და მოსაზრებები უკიდურესად პოლარიზებულია. ერთნი სლობოდან მილოშევიჩს დრამატული მოვლენების ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ, საერთაშორისო დონის დამნაშავედ მიიჩნევენ, სხვები მის საქციელში დანაშაულის შემცველს ვერაფერს ხედავენ. ეს უკანასკნელნი მილოშევიჩსა და მის ქვეყანას, რომლის ინტერესებსაც ის მკაცრად იცავდა, აშშ-ისა და ნატოს თვითნებობის მსხვერპლად თვლიან. მათი აზრით, ეთნიკური კონფლიქტები ყოფილ იუგოსლავიის, განსაკუთრებით კოსოვოს ტერიტორიაზე ამერიკის პროვოცირებული და განზრახ „გაბერილი“ იყო იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო საერთაშორისო საზოგადოების აზრი, ნატოს ძალების ჩარევის აუცილებლობის შესახებ. ასევე მომხდარიყო სამხედრო ჩარევის და აშშ-ის სამხედრო ძალების შემდგომი ყოფნის უზრუნველყოფა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. ამისთვის კი უნდა მომხდარიყო იუგოსლავიის ხელისუფლებისა და პოლიტიკური-ეკონომიკური კურსის შეცვლა, ქვეყნის საბოლოო დაშლა და მასზე კონტროლის დამყარება ევროპული სტრუქტურების ჩარჩოებში, იმ კავშირების გაწყვეტა რუსეთთან, რაც საუკუნების განმავლობაში ჩამოუყალიბდა ამ სამხრეთ სლავიანურ სახელმწიფოს.

1989 წლის ივნისის მიწურულს, მილოშევიჩმა კოსოვოს ველზე გამართული მიტინგის დროს სერბეთის პრეზიდენტის რანგში მიმართა ხალხს (იმ პერიოდში უკვე დაწყებული იყო სერბებსა და ალბანელებს შორის კონფლიქტი), თქვენ აქ უნდა დარჩეთ, ეს თქვენი მიწაა, თქვენი კერა, თქვენი ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია აქ ცხოვრება, ჩაგვრას განიცდით, ვალდებული ხართ ეს მიწა არ დატოვოთ თქვენი წინაპრებისა და შთამომავლობის სახელით. სერბები და ჩერნოგორიელები არასდროს ყრიდნენ ფარხმალს, ბრძოლის დროს უკან არ დაუხევიათ. იუგოსლავია კოსოვოს გარეშე არ არსებობს. 1991 წელს, როდესაც სლოვენიამ და ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადების შემდეგ, მილოშევიჩმა მხარი საუჭირა იუგოსლავიის სახალხო არმიის ამ რესპუბლიკებში გაგზავნას. სლოვენიის კონფლიქტი თითქმის უსისხლოდ დამთავრდა, ხორვატიისგან განსხვავებით, სადაც ათასობით ადამიანი დაიღუპა, ასეულ ათასობით ადამიანი კი, დევნილად იქცა. 1993 წლის თებერვალში ხორვატების კრაინაზე თავდასხმის, რომელიც გაეროს მშვიდობისმყოფელების დაცვის ქვეშ იმყოფებოდა და ბოსნიის ომის გაჩაღების შემდეგ, მილოშევიჩმა გაზეთ „პრავდასთან“ ინტერვიუში, იუგოსლავიის დაშლაში გერმანია დაადანაშაულა. „ჩვენ ყოველთვის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის მომხრე ვიყავით, არასდროს გაგვიხდია სადაოდ რომელიმე ერის თვითგამორკვევის უფლება. ეს უფლება თავისთავად სერბ ხალხსაც აქვს. სლოვენია და ხორვატია ცალმხრივად, ძალის გამოყენებით გამოეყვნენ იუგოსლავიას, რაც მაშინვე მხარდაჭერილი იქნა, სისხლხორცეულად დაინტერესებულების მიერ. გასაოცარ ფაქტის ვაწყდებით, საერთაშორისო საზოგადოებამ გამოყოფა უფრო წონად უფლებად მიიჩნია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში დარჩენა. ამით დიდი დანაშაული იქნა ჩადენილი, სოვოს გათავისუფლების არმიას. პარალელურად გაიშალა პარტიზანულ-ტერორისტული ომი, რომლის მსხვერპლიც იუგოსლავიის ასეულობით მშვიდობიანი მცხოვრები, ჩინოვნიკი და სამხედრო მოსამსახურე გახდა. სეპარატისტებს თავიდან მხოლოდ მილიციის დანაყოფები ებრძოდნენ, 1998 წელს მილოშევიჩმა იქ იუგოსლავიის არმია გააგზავნა, რასაც დასავლეთის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოყვა. დასავლეთის ქვეყნები ძალის გამოყენებით იმუქრებოდნენ, თუკი იუგოსლავიის რესპუბლიკა მებრძოლებსა და სპეცრაზმს არ გაიყვანდა კოსოვოდან. მილოშევიჩისა და ელცინის მოსკოვში შეხვედრის დროს, ერთობლივი განცხადება მიიღეს პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ სამხედრო ქმედებების შეწყვეტა, რასაც თან ახლდა რეპრესიები და ეთნოწმენდა კონფლიქტის ორივე მონაწილის მხრიდან, ვერ მოხერხდა. 1999 წლის გაზაფხულზე გაერომ ნატომ, მილოშევიჩს სამხედრო დანაშაულობებში, ჟენევის კონვენციის დარღვევასა და გენოციდში დასდო ბრალი. ნატოს ავიაციამ დაბომბა იუგოსლავია, ამ საერთაშორისო საომარი ოპერაციების შედეგად, 1999წლის 20 ივნისს იუგოსლავიის არმია გამოყვანილი

დაინგრა იუგოსლავია, გაეროს დამაარსებელი ერთ-ერთი ქვეყანა. პირდაპირ ვიტყვი, ამ ყველაფრის უკან გერმანიის პოლიტიკა დგას, ზუსტად გერმანულ-კათოლიკური ალიანსის ინტერესში იყო არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ თქვენი ქვეყნის დანგრევაც. სწორედ მათ ინტერესში იყო ორივეგან სისხლი დაღვრილიყო. ყველაფერი გერმანიის გაერთიანებიდან დაიწყო, როგორც კი ეს მოხდა, გერმანიამ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულების დასჯა დაიწყო. პრესამ, მსოფლიო გერმანული პედანტობით დაყო ცუდებად და კარგებად. „კარგები“ ისინი არიან, ვინც ამ ომის დროს ფაშისტების გვერდით იყვნენ და წააგეს ომი. „ცუდებად“ ისინი შერაცხეს, ვინც ფაშისტებთან არ იყვნენ და ომი მოიგეს. იუგოსლავია გახდა პოლიტიკური რევანშიზმის პირველი მსხვერპლი“, განაცხადა მილოშევიჩმა.

1996 წელს, კოსოვოელმა სეპარატისტებმა შეიარაღებული დაჯგუფებების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომელიც მალევე შეუერთდა კოსოვოსა და მეტოხიიდან. ეს „მშრალი“ ინფორმაცია დევს ვიკიპედიაში, არაფერია ნათქვამი, რომ ამ დასავლელმა „დემოკრატ-ჰუმანისტებმა“ დაბომბეს მშვიდობიანი მოსახლეობა, იუგოსლავიისა და სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი მართლმადიდებლური აღდგომის ღამეს ღამეს დაბომბეს. ამ „ჰუმანური მისიის“ შემსრულებელმა ამერიკელმა მფრინავმა (თუ მფრინავებმა) ბელგრადელებს პროკლამაციებიც გადმოაყარეს თავზე წარწერით, აღდგომას გილოცავთო. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მილოშევიჩის მეტოქე ვოისლავ კოშტუნიცამ გაიმარჯვა, მაგრამ მილოშევიჩმა მეორე ტურის ჩატარება მოითხოვა იმ მიზეზით, რომ კოშტუნიცამ თითქოსდა ვერ მოიპოვა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. 2000 წლის 5 ოქტომბერს, იმ დემონსტრაციების შედეგად, რომელიც ისტორიაში „ბულდოზერების რევოლუციის“ სახელით შევიდა, მილოშევიჩი დაამხეს. 2001 წლის 1 აპრილს, პოლიციის სპეცოპერაციის დროს, იგი ბელგრადში საკუთარ ვილაში დააპატიმრეს. 28 ივნისს კი, პრემიერ-მინისტრ ზორან ჯინჯიჩის ინიციატივით, გასაიდუმლოებულ ვითარებაში გადასცეს ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალს, რამაც ქვეყანაში მასობრივი უკმაყოფილება, მათ შორის პრეზიდენტ კოშტუნიცას უკმაყოფილება და ქუჩის არეულობები გამოიწვია.

სერბი პოლიტოლოგებისა და ისტორიკოსების ნაწილის აზრით, მილოშევიჩის საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემის რეალური ინიციატორი, აშშ-ის ელჩი ბელგრადში უილიამ მონტგომერი გახლდათ. სერბი სამხედრო ისტორიკოსის მილოვან დრეცუნის განცხადებით, იმ პერიოდში ფაქტობრივად, მონტგომერი იყო სერბეთის პრემიერ-მინისტრი. ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო დანაშაულობების საერთაშორისო ტრიბუნალმა, 1999 წელს კოსოვოში ჩადენილი სამხედრო დანაშაულობების ჩადენაში, რაც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად კვალიფიცირდება, დასდო ბრალი მილოშევიჩსა და ოთხ სხვა მაღალჩინოსანს. კერძოდ, მკვლელობაში, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური ნიშნით დევნასა და ა.შ. სასამართლო პროცესი 2002 წლის 12 თებერვალს დაიწყო და ოთხი წელი გრძელდებოდა, მილოშევიჩმა ადვოკატებზე უარი თქვა და თავს თვითონ იცავდა. მას ბრალდების არცერთ პუნქტში არ უცვნია თავი დამნაშავედ, 2002 წლის თებერვალში სიტყვით გამოსვლისას, სერბეთის დაბომბვასთან დაკავშირებით, ნატოს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში დასდო ბრალი. ამ დაბომბვების დროს, სულ შვიდი სერბული ტანკი გაანადგურეს, სამაგიეროდ, ასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპაო. მილოშევიჩის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პროცესი 22-ჯერ შეწყდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ მიმართა ტრიბუნალს, ყურადღება მიექციათ ექს-პრეზიდენტის ჯანმრთელობისთვის, ითხოვდა მილოშევიჩი რუსეთში გაეშვათ სამკურნალოდ, მით უმეტეს გარანტიით, რომ მას განსასჯელის სკამზე დააბრუნებდნენ, მაგრამ უარი მიიღეს. 2006 წლის თებერვალში, მილოშევიჩის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და ცოტა ხანში იგი ჰაგის ციხის საკანში გარდაცვლილი

იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, იგი გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა. 2006 წლის 14 მარტს, ტრიბუნალმა მილოშევიჩის საქმე დახურა.

წლების შემდეგ ირკვევა, რომ სლობოდან მილოშევიჩი თურმე არ ყოფილა დამნაშავე იმ ბრალდებებში, რაც დიდი „ზარ-ზეიმით“ წაუყენეს მსოფლიო „ობიექტურ-დემოკრატიულმა მამებმა“. 2017 წლის შემოდგომაზე, ჰააგის ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიის სერბი ეროვნების გენერალს რატკო მლადიჩს გენოციდსა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში სცნო ბრალდებულად და უვადო პატიმრობა მიუსაჯა. მისი განაჩენის ტექსტში ერთ-ერთმა სერბიულმა მედია-გამოცემამ სლობოდან მილოშევიჩის შესახებაც აღმოაჩინა ინფორმაცია. კერძოდ, მლადიჩის საქმის გამოძიებისას, თურმე საერთაშორისო სასამართლომ ვერ იპოვა მტკიცებულებებუ, რომ მილოშევიჩი თანახმა იყო ბოსნიელების გენოციდზე. საერთაშორისო ტრიბუნალი გარდაცვლილ პრეზიდენტს მხოლოდ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში კი არ იხსენიებდა, უფრო ადრეც ვერ იპოვა მტკიცებულებები, რომ მილოშევიჩმა ჩაიფიქრა, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მუსულმანი მოსახლეობის გენოციდი. ეს 2016 წლის 24 მარტს, ბოსნიელი სერბების ლიდერის რადოვან კარაჯიჩის 2590-გვერდიან განაჩენში დაფიქსირდა, რაც იტალიელმა ჟურნალისტმა ჯულიეტო კიეზამ აღმოაჩინა. განაჩენში ნათქვამია, რომ მილოშევიჩი რეგულარულად ხვდებოდა ბოსნიელი სერბების ლიდერს და ბევრ საკითხზე, მათ ურთიერთთანხმობა ჰქონდათ. არცერთ არ უნდოდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნა და ა.შ. ერთი სიტყვით, ტრიბუნალმა ვერ შეძლო რაიმე კრიმინალურის პოვნა ამ კუთხით, რაც აღიარა კიდეც კარაჯიჩის განაჩენში. „დასავლური პრესა ამის შესახებ დუმს. დასავლელი ლიდერები კი, ამის გამო რეალურად უნდა გაასამართლო“, წერდა იტალიელი ჟურნალისტი.

არანაკლებ კატეგორიული და მკაცრი იყო ბრიტანელი ჟურნალისტი ნილ კლარკი. „ჰააგის ტრიბუნალის ვერდიქტი, რომელმაც უდანაშაულოდ ცნო ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე დემონიზირებული პოლიტიკოსი იმ საშინელ დანაშაულობებში, რაშიც ბრალს სდებდნენ, მსოფლიო პრესის პირველ გვერდებზე უნდა ყოფილიყო გამოტანილი, მაგრამ ასე არ მოხდა. საერთაშორისო ტრიბუნალმაც ღრმად ჩამარხა ეს ფაქტი კარაჯიჩის 2590-გვერდიან განაჩენში“, აცხადებდა კლარკი. მრავალრიცხოვანი პროცესების დროს შეცდომების დაშება, საერთაშორისო ტრიბუნალის პროკურორმა კარლა დელ პონტემაც აღიარა. ამ საქმის გარემოებები რომ მცოდნოდა, ყველაფერს სხვაგვარად წავიყვანდიო. აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა დელ პონტემ, თავის მოგონებებში ტრიბუნალის საქმეების ჩარევაში არაერთხელ დაადანაშაულა ამ ორგანიზაციის წევრი სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის, შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები.

ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი

ლიბიელი რევოლუციონერი, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი მუამარ კადაფი 1942 წელს (ზოგი ცნობით 1940 წელს) ლიბიაში, რომელიც იმ პერიოდში იტალიის კოლონია იყო. იგი 1969–2011 წლებში ლიბიის დე-ფაქტო მეთაური გახლდათ. მისი მეთაურობით დაემხო 1969 წელს ლიბიაში მონარქია, 1969–77 წლებში იკავებდა პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრიეს თანამდებობებს. პარალელურად ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო სახალხო კონგრესის გენერალური მდივანი. 1969–2011 წლებში იყო ლიბიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. მას შემდეგ, რაც კადაფიმ უარი თქვა ყველა თანამდებობაზე, იგი იწოდებოდა, როგორც 1 სექტემბრის დიდი სოციალისტურ-სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელი და მოძმე ლიდერი. კადაფიმ მონარქიის დამხობის შემდეგ, მოგვიანებით ჩამოაყალიბა „მესამე მსოფლიო თეორია“, ლიბიაში დაამყარა ახალი პოლიტიკური რეჟიმი, ჯამაჰარია“. ხელისუფლება ნავთობმოპოვებიდან შემოსულ შემოსავლებს, სოციალური მოთხოვნებისკენ მიმართავდა, რამაც საშუალება მისცა 70-იან წლებში მომხდარიყო სახელმწიფო ბინათმშენებლობის მასშტაბური პროგრამების განხორციელება, განვითარებულიყო ჯანდაცვა და განათლება. კადაფის მცდელობა ჰქონდა ლიბიისთვის მიეერთებინა მეზობელი არშემდგარი სახელმწიფოები. იგი ფინანსურად და სხვა მხრივაც ეხმარებოდა მრავალრიცხოვან ეროვნულ — განმათავისუფლებელ, რევოლუციურ და ტერორისტულ ორგანიზაციებს მთელ მსოფლიოში. გახმაურებული ტერაქტები, რომელთა კავშირშიც ადანაშაულებდნენ ლიბიის ხელმძღვანელობას, ფორმალური საფუძველი გახდა იმ ამერიკული დაბომბვებისა, რომელიც 1986 წელს განხორციელდა ლიბიაზე და 90-იან წლებში სანქციების დაწესებისა.

2011 წლის 27 ივნისს, ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ მუამარ კადაფის დაპატიმრების სანქცია გასცა. მას ბრალი დასდეს მკვლელობებში, უკანონო დაპატიმრებებსა და ციხეში გამომწყვდევაში. სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, ნატოს ბლოკის სამხედრო ჩარევით, ოპოზიციურმა ძალებმა ქვეყანაზე კონტროლი დაამყარეს. 2011 წლის 20 ოქტომბრის დილას, გარდამავალი ეროვნული საბჭოს ძალებმა მორიგი იერიში მიიტანეს სირტზე და შეძლეს ქალაქის აღება. ალყაშემორტყმული ქალაქიდან გაღწევის მცდელობის დროს, აჯანყებულებმა კადაფი ტყვედ აიყვანეს. ნატომ გამოაქვეყნა კომუნიკე ანგარიშით, რომლის თანახმად, ალიანსის ავიაციამ დაბომბა კადაფის არმიის 11 სამხედრო მანქანა, რომელიც იმ დიდი კოლონის (75 მანქანა) ნაწილი იყო

და სწრაფად მიემართებოდა სირტისკენ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდნენ. ნატოს თვითმფრინავებმა ათამდე მანქანა გაანადგურეს. მეამბოხეებმა შეძლეს დაჭრილი კადაფის ხელში ჩაგდება. ეგზალტირებული ბრბო გარს შემოერტყა დაჭრილ, ასაკოვან პრეზიდენტს და დამცირება-აბუჩად აგდება დაუწყეს. ბრბომ „ალაჰ აქბარის“ ყვირილით დაიწყეს ჰაერში სროლა, კადაფს ავტომატებს ურჭობდნენ. სისხლში ამოსვრილი კადაფი ავტომანქანისკენ წაიყვანეს და კაპოტზე შემოსვეს. მოგვიანებით გავრცელებულმა ვიდეოკადრებმა, სადაც კადაფის ბოლო წუთებია აღბეჭდილი, უარყო გარდამავალი ეროვნული საბჭოს მიერ თავიდან გავრცელებული ოფიციალური ვერსია. ნათელი გახდა, რომ იგი მოკლული იქნა დამატყვევებლების ველური „სამართლის“ შედეგად. სიცოცხლის ბოლო წუთებში კადაფი აჯანყებულებს, უფრო ზუსტად, ჯალათებს მოუწოდებდა გონს მოსულიყვნენ. კადაფთან ერთად დაატყვევეს მისი ვაჟი მუტაზი და გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. კადაფის დამხობამ, რაც ფრიად დემოკრატიული ლოზუნგების თანხლებით განხორციელდა, ლიბიაში დასაბამი დაუდო არასტაბილურობასა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად შეიარაღებულ ბრძოლას, რამაც ქვეყანა ფაქტობრივ დაქცევამდე მიიყვანა. ცნობილი რუსი ჟურნალისტის დიმიტრი კისელიოვის განცხადებით, ამერიკელები და მათი ნატოელი მოკავშირეები შედეგზე არ დაფიქრებულან, როცა მავანთ ლიბიის დაქცევას „შთააგონებდნენ“. ზუსტად ნატოს საჰაერო დაბომბვებს მოყვა, ლიბიის ლიდერის მუამარ კადაფის წამებით მოკვდინება და დღემდე არ ვიცით, როგორ აღვადგინოთ მსოფლიო წესრიგი და მშვიდობაო. იმ აყვავებულ ლიბიაზე, რომელიც „ტირან-დიქტატორ“ კადაფის მმართველობის დროს არსებობდა და რომლის შექმნაშიც თავად კადაფის მიუძღვოდა ლომის წვლილი, დღევანდელმა ლიბიელებმა და მომავალმა თაობებმაც, აღარც უნდა იოცნებონ. მოგეხსენებათ, ირანმა გენერალ სულეიმანის მკვლელობას ერაყის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკული ავიაბაზის დაბომბვით რომ უპასუხა, განრისხებული ტრამპი დაიმუქრა, რომ სარაკეტო დარტყმებს განახორციელებდნენ ირანის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე. მიზანში გვაქვს ამოღებული 52 ირანული ობიექტი, რომელთა ნაწილიც ძალზე მნიშვნელოვანია ირანისა და მისი კულტურისთვისო. „ტრამპი, საკუთარი ქვეყნის „საუკეთესო“ ტრადიციებიდან გამომდინარე, სამხედრო დანაშულით იმუქრება. ეს ჩვეული ამერიკული ამპარტავნული უმეცრებაა, არამარტო კონკრეტული უცხო ქვეყნის კულტურის, არამედ საერთოდ, კულტურისადმი, რადგან ირანის უძველესი კულტურა კაცობრიობის კუთვნილებაა. საუბარია იმ ცივილიზაციაზე, რომელიც ძველი ჩინეთისა თუ საბერძნეთისაზე ძველია“, აცხადებდა დიმიტრი კისელიოვი. ირანში ათობით კულტურის ძეგლია, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული, მათ შორისაა, თიხისგან ნაშენი დიდი ციხე-სიმაგრე ქალაქ ბამში, რომელიც ანტიკურ ხანის ძეგლს განეკუთვნება, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში ყოფილა აგებული. ამ ტერიტორიაზეა უნიკალური სომხური სიწმინდეები (მდინარე არაქსის ხეობაში), ორი ქრისტიანული მონასტერი (მე-7 და მე-9 საუკუნეები), ისლამური არქიტექტურის შედევრები, რომელიც შიიტური თაობების მიერაა შექმნილი და ისინი თურმე ამერიკული რაკეტების სამიზნე შეიძლება გახდეს. ირანშია უძველესი ქალაქი პასირ ჰადი, რომელიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მე-6 საუკუნეშია აშენებული. ორი საუკუნის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთი რომ დალაშქრა, ამ ქალაქში გაჩერდა. მისმა ჯარისკაცებმა გაძარცვეს სპარსი მეფის კიროს II დიდის აკლდამა. გამოჩენილმა ძველბერძენმა მხედართმთავარმა ეს რომ შეიტყო, მძარცველები თურმე სიკვდილით დასაჯა. სამაგიროდ, 21-ე საუკუნეში ცივილიზებული დასავლეთი უპირებს დაბომბვას. აქვე ყოფილა ძველი სპარსეთის დედაქალაქი პერსეპოლი (ჩვ.წ.აღრცხ-მდე მე-5 საუკუნე), რომლის ნანგრევებშიც შემორჩენილია წყალსადენისა და კანალიზაციის ნაგებობები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს კომუნიკაციები 2500 წლის წინ უკვე არსებობდა. საერთოდაც, კაცობრიობის ისტორიაში პირველი სპარსელებმა შექმნეს ჩანაწერები მედიცინის, ასტრონომიის, მათემატიკის სფეროში, რითაც ფაქტობრივად, პირველებმა დაიწყეს ბიბლიოთეკის შექმნა. ხოლო ფარსული ენა, შუა საუკუნეებში საერთაშორისო ენა იყო „აბრეშუმის გზის“ მთელ პერიმეტრზე. „ამ ყველაფერზე პრეზიდენტი ტრამპი დიდი მზრუნველობით კი საუბრობს, მაგრამ როცა რიგ ამერიკულ სამხედრო დანაყოფებში ალაპარაკდნენ, ირანის კულტურულ ობიექტებზე დარტყმას არ ვგეგმავთო, ტრამპი ძალზე განაწყენებულა. მოკლედ, არავითარი პირადული, უბრალოდ კოლონიალური აზროვნების კლასიკური მაგალითი, როცა სხვა ხალხები და კულტურა საკუთართან შედარებით დამცრობილად მიგაჩნია, ათჯერ უფრო ძველიც რომ იყოს. ტრამპმა არც იმაზე იფიქრა, რა რეაქცია ექნებოდა ისლამურ სამყაროს ირანის კულტურის ძეგლებზე განხორციელებულ სარაკეტო დარტყმებზე, რომელთა ნაწილიც შიიტურ სიწმინდეებსაც წარმოადგენს“, აღნიშნა რუსმა ჟურნალისტმა.

(გაგრძელება იქნება)

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

შედგება თუ არა საუკუნის გარიგება?

„საუკუნის გარიგება“ — ასე შეაფასა დონალდ ტრამპმა, სამშვიდობო გეგმა, რომლის მიხედვით იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქი უნდა გახდეს. „...იერუსალიმი ისრაელის განუყოფელი ნაწილი და მისი დედაქალაქია“ — განაცხადა ტრამპმა. გეგმის მიხედვით, პალესტინელების ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი ისრაელს გადაეცემა. თავად პალესტინელებს კი ეგვიპტის დაუსახლებელი, ჩრდილოეთით უდაბნოში გადაიყვანენ. ტრამპის განცხადებით პალესტინის ტერიტორია გაორმაგდება.

ისრაელი-პალესტინის პრობლემა არახალია, რომელიც სათავეს 1947 წლიდან იღებს, ანუ ისრაელის სახელმწიფოს აღდგენა-შექმნისთანავე. მშვიდი ცხოვრება არც თანამედროვე ებრაელ ხალხს ნამდვილად არ ჰქონიათ, რადგან არაბულ სამყაროსთან უწევთ დაპირისპირება. იყო ე.წ. „ხუთდღიანი ომიც“ 1967 წელს, რომლის მიხედვით გოლანის სიმაღლეები სირიას მიაკუთვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. თუმცა, ორი წლის წინ ისრაელმა კვლავ დაიკავა სიმაღლეები, რასაც ავტორიტეტული ამერიკული გამოცემა „ბლუმბერგი“ ანექსიად აფასებს.

პოლიტიკოსების თქმით, ორი ხალხის შერიგების და მშვიდობის დამყარების წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ არა ნაუცბათევად და ფაქტობრივად ძალისმიერი მეთოდებით. ექსპერტების ნაწილი ახალ გეგმას „ისრაელის პოლიტიკურ რევანშად“ აფასებს. ამასთან, ვერც გაოცებას მალავენ, რატომ გახდა აუცილებელი. მაინცდამაინც ახლა დროებით მიჩუმათებული პრობლემის გამწვავება, რის გამოც აშშ-მა და ისრაელმა არაბული (და არა მარტო არაბული) სამყაროს დიდი ნაწილი აიმხედრეს. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმას „მკვდრადშობილი“ უწოდა, ირანელებმა კი „კოშმარად“ შეაფასეს. პოლიტოლოგები არ გამორიცხავენ, რომ ტრამპს და ნეთანიაჰუს თავიანთი შინაური პრობლემების გადასაფარად დასჭირდათ ახალი სამშვიდობო გეგმის სწორედ ახლა წამოწევა — ტრამპს საკუთარ ქვეყანაში იმპიჩმენტი აქვს გამოცხადებული, ნეთანიაჰუს წინააღმდეგ ისრაელში ერთბაშად სამი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ ისრაელის აშშ-ის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დიდი ლობი ჰყავთ, რომლის გავლენა აშკარად შეინიშნება. ამასთან, დონალდ ტრამპის მრჩეველი და სიძე ჯად კუშნერი ებრაელია.

პოლიტოლოგების შეფასებით, დონალდ ტრამპის სამშვიდობო გეგმამ, შერიგების ნაცვლად, ისრაელ-პალესტინას შორის არსებული ნაპრალი კიდევ უფრო გააღრმავა. შეცდომად მიაჩნიათ, რომ სამშვიდობო გეგმის შემუშავებაში პალესტინელები არ მიუწვევიათ, რეალურად ფაქტის წინაშე დააყენეს. გეგმის მიხედვით, პალესტინაში არსებული შეიარაღებული ფორმირება „ხამასი“ სრულიად უნდა განიარაღდეს. (აღნიშნული ფორმირება ისრაელში და აშშ-ი ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება). ექსპერტები ფორმირების სრულ განიარაღებას თითქმის არარეალურად მიიჩნევენ, რადგან „ხამასის“ შიგნით რამდენიმე დაჯგუფება არსებობს და ხშირად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოებაც. დონალდ ტრამპი პალესტინელებს ინვესტიციების სახით 50 მილიარდს სთავაზობს იმ შემთხვევაში, თუ დათანხმდებიან წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმას.

მოსალოდნელზე მწვავე რეაქცია გამოიწვია პალესტინელთა შორის წარმოდგენილმა ახალმა სამშვიდობო გეგმამ. ხალხი სპონტანურად გავიდა ქუჩებში, პალესტინა საპროტესტო აქციებმა მოიცვა. პალესტინელების ლიდერმა მაჰმუდ აბასმა კი საკმაოდ მკვახედ უპასუხა ტრამპს — „...იერუსალიმი არ იყიდება. არ იყიდება პრინციპები“. ამის გარდა, აბასმა უარი თქვა ტრამპთან სატელეფონო საუბარზე, მის ზარებს საერთოდაც არ პასუხობდა. ეს ინფორმაცია ისრაელელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს. 50 მილიარდიანი ინვესტიციების შეთავაზება, პალესტინელებმა ბანალურ ვაჭრობას შეადარეს. პოლიტოლოგების განცხადებით, ტრამპის სამშვიდობო გეგმა არ იმუშავებს. უფრო მეტიც, გასულ კვირას არაბთა ლობის ქვეყნების ლიდერების შეკრებაზე ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში პალესტინამ სრული მხარდაჭერა მიიღო. ყატარის გარდა პროექტს მხარი არავინ დაუჭირა. მაჰმუდ აბასმა კი ისრაელთან და აშშ-სთან ყოველგვარ თანამშრომლობა შეჩერებულად გამოაცხადა, აღნიშნულ შეხვედრაზე.

რეგიონში მოვლენების კონტროლიდან გასვლის საფრთხე აშკარა გახდა. ბენამინ ნეთანიაჰუ ვაშინგტონიდან ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს და შეხვედრა თხოვა. მოულოდნელი, დაუგეგმავი ვიზიტები მაღალი რანგის პოლიტიკოსებს შორის ფაქტობრივად არ ხდება, იშვიათი, განსაკუთრებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა. მიუხედავად ამისა, ნეთანიაჰუმ თანხმობა მიიღო და ვაშინგტონიდან მეუღლესთან ერთად პირდაპირ მოსკოვში ჩაფრინდა.

მოულოდნელი, დაუგეგმავი ვიზიტის მიუხედავად ნეთანიაჰუს მოსკოვში პატივისცემით შეხვდნენ. პუტინმა ტრადიციას არ უღალატა და ნეთანიაჰუს მეუღლეს სარას ყვავილების თაიგული მიართვა. მხოლოდ დიალოგის დაწყების წინ, პროტოკოლური ფოტოგადაღების და ერთმანეთთან მისალმებისას შეხვდნენ ჟურნალისტებს პუტინი და ნეთანიაჰუ. „...პირველი ლიდერი ხართ ვისაც ვაშინგტონის ვიზიტის შემდეგ ვხვდები. მსურს ერთად განვიხილოთ სამშვიდობო გეგმა. განსაკუთრებით მაინტერესებს თქვენი აზრი“. — უთხრა პუტინს ნეთანიაჰუმ, კრემლის ლიდერის განცხადებით, სამშვიდობო გეგმის შემუშავებისას პალესტინელების მონაწილეობა მთავარი აუცილებელი პირობაა. პუტინ-ნეთანიაჰუს შეხვედრა 3,5 საათს გაგრძელდა. რის შესახებ ისაუბრეს და რაზე შეთანხმდნენ უცნობია, რადგან არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. გასახსენებელია კიდევ ერთი მოვლენა. იერუსალიმში ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დასრულების შემდეგ, ვლადიმირ პუტინი ბეთლემში ჩავიდა და იქაურ ლიდერს მაჰმუდ აბასს შეხვდა და ესაუბრა. დონალდ ტრამპის სამშვიდობო გეგმის გასაჯაროობის შემდეგაც თუ ჰქონდათ საუბარი პუტინს და აბასს უცნობია.

ხელცარიელი არ წასულა ბენიამინ ნეთანიაჰუ სამშობლოში. იერუსალიმში პუტინს მეუღლესთან ერთად თხოვნით მიმართა გაენთავისუფლებინა ისრაელი მოქალაქე, ახალგაზრდა ქალი პატიმრობიდან რუსეთის პრეზიდენტს. ანალოგიური თხოვნით იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილე III-მაც მიმართა. პუტინი შეხვდა პატიმრის დედას და დახმარება აღუთქვა. პირობა უმოკლეს ვადაში შეასრულა და შეწყალებული პატიმარი უკვე ნეთანიაჰუს თვითმფრინავით დაბრუნდა სამშობლოში.

ოქროს არა, მაგრამ აშშ-ი პოლიტიკური ციებ-ცხელებაა. უკვე ამ კვირაში გახდება ცნობილი სენატის ვერდიქტი დონალდ ტრამპის იმპიჩმენტთან დაკავშირებით. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსმენები ისე არ გაიმართა, როგორც ტრამპის მოწინააღმდეგეებს სურდათ. ამიტომაც აცხადებენ დემოკრატები მოწმეების ჩვენებების და ბრალდების საბუთების გარეშე სენატის განაჩენს ძალა არ ექნება. დემოკრატებს იმედი ჰქონდათ სენატში ტრამპის ყოფილი თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი მისცემდა ჩვენებას ყოფილი შეფის წინააღმდეგ, მაგრამ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა. სამაგიეროდ, ბოლტონმა გააგრძელა ტრადიცია, რომელიც ტრამპის პრეზიდენტობისას დამკვიდრდა — ადმინისტრაციიდან განთავისუფლებული ჩინოვნიკების უმეტესობა იწყებს მემუარების წერას. სავარაუდოდ, თეთრი სახლი მწერლობის მუზის მომგვრელი დაწესებული გახდა.

მემუარები, ჯონ ბოლტონის ავტორობით „ოთახი სადაც ეს მოხდა“ ჯერ არ დაბეჭდილა. გამოქვეყნების შემთხვევაში დემოკრატები ბოლტონს ჰონორარის სახით 2 მილიონის გადახდას შეპირდნენ, თუმცა, წიგნის დაბეჭდვა სათუოა. ელენ ნოტის (რომელიც კურირებს თეთრ სახლში საიდუმლო ინფორმაციებს) განცხადებით, მემუარებში ბევრი ისეთი საიდუმლო მასალაა, რომელთა გამოქვეყნება არ შეიძლება. მიუხედავად შეზღუდვისა, გარკვეული ნაწილი ცალკეული გამოცემებისთვის მაინც გახდა ხელმისაწვდომი. დონალდ ტრამპმა ჩვეული სარკაზმით შეაფასა ბოლტონის ღვაწლი. „... მაგისთვის რომ დამეჯერებინა ახლა უკვე მეექვსე მსოფლიო ომი იქნებოდა გაჩაღებული“— განაცხადა ჟურნალისტებთან.

„ნისლიან ალბიონზე“ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს შესული განხორციელებული ბრექსიტი. 31 იანვარს ადგილობრივი დროით 23 საათზე „ფოიერვერკი“ მოაწყეს. მანამდე ევროპარლამენტიდან გაიცილეს გაერთიანებული სამეფოს დეპუტატები. ზოგიერთი მათგანი ცრემლებს ვერ იკავებდა სამსახურის დაკარგვის გამო. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი სიხარულს ვერ მალავდა. „... ბრექსიტით ბრიტანელემა თავისუფლება მოვიპოვეთ. ახლა ჩვენ თავად, დამოუკიდებლად შეგვიძლია ქვეყნის მართვა“ — განაცხადა სატელევიზიო გამოსვლაში. ინგლისის პრესას თუ დავუჯერებთ, ევროკავშირი შესაძლოა 10 წელში სრულიად დაიშალოს.

ევროკავშირიდან გასვლის სიხარულს ბრიტანეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ იზიარებს. ექსპერტები უკვე აანალიზებენ მოსალოდნელ შედეგებს. ზუსტი მონაცემები მოგვიანებით გამოქვეყნდება. წინასწარ ამბობენ ბრექსიტით დაზარალდება ევროკავშირიც და თავად ბრიტანეთიც. გაურკვეველია, თუ როგორ გადაწყდება შოტლანდიის და ორივე ირლანდიის საკითხი. ექსპერტების ვარაუდით, ბრექსიტმა შესაძლოა ეკონომიკური რყევები გამოიწვიოს მსოფლიოში და არ გამორიცხავენ კრიზისს, საიდანაც გამოსვლა ბევრ ქვეყანას გაუჭირდება. დღეს მსოფლიოს ძირითადი ყურადღება კორონავირუსზეა გადატანილი, რათა გადაიფაროს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. თუნდაც აშშ-ი დემოკრატების მიერ დაწყებული პრაიმერი ვინ და როგორ დაუპირისპირდება დონალდ ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნებში, მართლაც საინტერესოა.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს
გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 593 78 64 69

* * *

— **რა არის ბე?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

ამავე კოდექსის 422-ე მუხლის მიხედვით, ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, — ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

ამავე მუხლის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

— **ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?**

— რა თქმა უნდა, თქვენს შვილს შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამართალმწამოებელთა მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური/ იგულისხმება ხარჯები, მათ შორის, ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, გზის ხარჯები, პატიმრის შენახვის ხარჯები და ა. შ. დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით/, ფიზიკური/ იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევასთან დაკავშირებული ხარჯები, დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტებით და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით/ და მორალური ზიანის ანაზღაურება.

* * *

— **რას ნიშნავს სოლიდარული ვალდებულება?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

* * *

— **ჯილდოს საჯაროდ დაპირება წარმოშობს თუ არა შესრულების ვალდებულებას?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის მიხედვით, ის, ვინც საჯარო დაპირებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, კერძოდ, ამა თუ იმ შედეგის მიღწევისათვის, ვალდებულია გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოქმედება შეასრულა. პირს ჯილდოს მიღების უფლება აქვს მაშინაც, როცა იგი არ მოქმედებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების გამო.

* * *

— **შეიძლება თუ არა ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მოხმარების გამო, მოხდეს პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა?**

— შეიძლება, ოღონდ ეს არ ეხება ერთჯერად მოხმარებას. ადგილი უნდა ჰქონდეს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად გამოყენებას. დაგიკონკრეტებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით:

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

* * *

— **ჩვენი ადვოკატის მიერ დაწერილი საკასაციო საჩივარი არ მიიღო განსახილველად უზენაესმა სასამართლომ. რამდენად სამართლიანია ეს? ზოგადად, ასევე, მაინტერესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.**

— თუ საკასაციო საჩივარში დასაშვებობის პირობები არ არის ჩამოყალიბებული, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია.

უფრო მეტი სიზუსტისთვის მოგაწოდებთ შესაბამის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რომლებიც სრულყოფილად და ამომწურავად უპასუხებენ თქვენთვის საინტერესო საკითხს.

მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

1. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით კასატორს აძლევს 5 დღის ვადას, რომელიც საჭიროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. (ამოღებულია — 08.02.2017, N260).

3. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/ და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

3^1. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

3^2. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.

3^3. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს მხარეებს, ხოლო თუ დაუშვებლად ცნობილია პროკურორის საკასაციო საჩივარი — აგრეთვე ზემდგომ პროკურორს.

5. თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი ნიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს. საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

6. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

7. კასატორს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

8. საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

* * *

— **როგორც გავიგე, სისხლის სამართლის კოდექსი შემოტანილია ახალი მუხლი- ადევნება. რას ნიშნავს ადევნება და რა სანქციებია დაწესებული?**

— დიახ, არის ასეთი სიახლე სისხლის სამართლის კოდექსში. წარმოგიდგენთ შესაბამის სამართლის ნორმას სანქციებითურთ.

მუხლი 151^1. ადევნება

1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოცსაათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) ჯგუფურად;

გ) არაერთგზის;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

რატომ ძულდა კონან დოილს მის მიერვე შექმნილი პერსონაჟი შერლოკ ჰოლმსი?

ბოლოდროინდელმა გამოკითხვებმა უჩვენა, რომ ყოველ მეხუთე ბრიტანელს სჯერა, რომ შერლოკ ჰოლმსი რეალური ადამიანი იყო. დეტექტივისა და მისი დამხმარის, დოქტორ ვატსონის თავგადასავალი მისი გამოსვლიდან 130 წლის შემდეგაც კი სუპერპოპულარულია. თუმცა მეცნიერებმა ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი წერილებით დაასკვნეს, რომ არტურ კონან დოილისა და მისი გმირის ურთიერთობა უღრუბლო სულაც არ ყოფილა.

ავტორის ბავშვობა და სიყმაწვილე

მომავალი მწერალი პატივსაცემ, მაგრამ არაკეთილსაიმედო ოჯახში დაიბადა — მამამისი ალჰოჰოლიკი იყო და მთელი ქონება სასმელში დახარჯა. როცა არტური

9 წლის იყო, მდიდარმა ნათესავებმა ის ჯერ იეზუიტთა სკოლა-ინტერნატში, შემდეგ კი ედინბურგის სამედიცინო უნივერსიტეტში მოაწყვეს. არტურის მთავარი გატაცება ლიტერატურა იყო. მან საუნივერსიტეტო ჟურნალში რამდენიმე მოთხრობაც კი გამოაქვეყნა.

1881 წელს ახალგაზრდამ მედიცინის ბაკალავრის დიპლომი მიიღო და კერძო კაბინეტი გახსნა. მაგრამ პაციენტები არ ჰყავდა და რადგან პაციენტები არ ჰყავდა, შესაბამისად, არც ფული ჰქონდა.

არტურმა ხუთი წელი შეალია სამუშაოს, რომელიც არ უყვარდა. ამასობაში მან ცოლი შეირთო, დაწერა დიდი რომანი და ბევრი მოთხრობა, თუმცა აღიარება მისთვის არც ერთს არ მოუტანია. კონან დოილი კვლავაც ვიწრო წრისთვის აღიარებულ ავტორად დარჩებოდა, თავისი მთავარი პერსონაჟი რომ არ გამოეგონებინა.

ასე გაჩნდა შერლოკ ჰოლმსი.

1886 წელს არტორ კონან დოილმა დაწერა მოთხრობა „ეტიუდი მეწამულ ფერებში“, რომლის მთავარი გმირები მაძებარი შერიდან ჰოუპი და ექიმი ორმონდ სეკერი ერთდროულად ორ მკვლელობას იძიებენ. ალბათ, უკვე მიხვდით, რომ სწორედ ამ ორმა ჯენტლმენმა მიიღო მოგვიანებით სხვა სახელი — შერლოკ ჰოლმსი და ჯონ ვატსონი. ლონდონის გამომცემლობამ ამ ნაწარმოების საავტორო უფლება სულ 25 გირვანქა სტერლინგად შეიძინა. შერლოკმა უცებ მოიპოვა აღიარება, მისმა ავტორმა კი მედიცინა მიატოვა და წიგნების წერას შეუდგა.

ჰოლმსის პროტოტიპი გახდა დოილის კოლეგა, ექიმი ჯოზეფ ბელი, რომელსაც შეეძლო პაციენტების საქმიანობის სფეროსა და მათი ჩვევების უმცირეს დეტალებში აღწერა. კრიტიკოსები წიგნს ცუდად შეხვდნენ. თავად მწერალიც არ იყო აღფრთოვანებული ჰოლმსი-ვატსონის დუეტით და მათ მხოლოდ როგორც შემოსავლის წყაროს, ისე უყურებდა.

თუმცა მან ლიტერატურაში გადატრიალება მოახდინა ისე, რომ თავადაც ვერ გააცნობიერა. დღეს ჩვენ გვყავს სუპერმენი და ბეტმენი, რომლებსაც ყველა განსაცდელიდან შეუძლიათ თავის დაღწევა, ვიქტორიანულ ინგლისში კი ასეთი პერსონაჟი საოცარი მიგნება იყო. მკითხველებს შეუყვარდათ შერლოკი მისი იმ თვისებისთვის, რომ დაუბრკოლებლად შეეძლო გაუხსნელი საქმეების გახსნა და ამაზე გავლენა არ მოუხდენია მაძებრის რთულ ხასიათსაც კი.

ამასთან, ჰოლმსის შესახებ ჟურნალების შეძენა ღარიბებსაც კი შეეძლოთ. მაძებრის შესახებ ისტორიები სახალხო ლიტერატურად იქცა. შერლოკ ჰოლმსმა თავის შემქმნელს დიდება და ფული მოუტანა, მაგრამ, ფაქტობრივად, ის შუაზე გაგლიჯა.

მწერალმა თავისი ქმნილება შეიძულა

დოილმა ჰოლმსის შესახებ მოთხრობების სერია „თჰე შტრანდ“-ისთვის დაწერა. შედეგად, ჟურნალი ელვის სისწრაფით იყიდებოდა და ავტორმა ამით დიდი ფული იშოვა. 4–5 გვერდში მას იმდენს უხდიდნენ, რამდენსაც უბრალო მოხელე მთელი წლის მუშაობაში იღებდა.

მაგრამ კონან დოილს უნდოდა, „სერიოზული“ ავტორი ყოფილიყო. ის წერდა ისტორიულ პოესებს, რომანებს, შერლოკ ჰოლმსი კი მკითხველების ყურადღებას მთლიანად იპყრობდა. დეილს ძალიან სწყინდა, რომ მისი აზრით თავისი საუკეთესო ნაწარმოების რაინდულ რომანის „თეთრი რაზმის“ პოპულარობა ახლოსაც ვერ მივიდოდა შერლოკის პოპულარობასთან.

მთელი ორი წლის განმავლობაში იგი წერდა ისტორიებს ბეიკერსტრიტელი მაძებრის შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, იგი ვეღარ აიტანა მის მიერვე გამოგონილი პერსონაჟი. შერლოკ ჰოლმსი სუფთა კომერციული პროექტი იყო, რომელსაც მწერლისთვის სტაბილური შემოსავალი მოჰქონდა, მაგრამ ვერავითარ მორალურ კმაყოფილებას ვერ ანიჭებდა. ლიტერატურულმა გმირმა ლამის შეჭამა თავისი შემქმნელი და მაძებრის სახელის ხსენებაც კი მასში ველურ მრისხანებას იწვევდა.

ბეიკერსტრიტელი მაძებრის სიკვდილი

1891 წელს კონან დოილმა გადაწყვიტა, ჰოლმსი მოეკლა.

ერთხელ მწერალი ცოლტან ერთად ალპებში წავიდა იქაური ღირსშესანიშნაობის – რეიხენბახის ჩანჩქერის სანახავად. აი, ასე იპოვა მან იდეალური ადგილი ხალხის საყვარელი გმირის სიკვდილისთვის.

მაგრამ მკვლელობის ადგილის გარდა მწერალს უნდა მოეფიქრებინა შესაფერისი ბოროტმოქმედიც. ამ დეტალის წყალობით შეიძლება ჰოლმსის მიმართ დოილის სიძულვილის შეფასება: ლიტერატურის ისტორიაში უდიდესი ბოროქმოქმედი, პროფესორი მორიარტი მოთხრობაში მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ გამოჩენილი მაძებარი მოეკლა. მორიარტმა თავი ბრწყინვალედ გაართვა ამოცანას და მოთხრობაში „ჰოლმსის უკანასკნელი საქმე“ მტრები ჩანჩქერის ზვირთებში უჩინარდებიან.

მწერლის ომში გაქცევა და შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება

მწერლები მოთმინებით ელოდნენ, რა მოხდებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ ავტორმა რაღაც ეშმაკური სვლა მოიფიქრა და ახალ



რომანზე მუშაობდა. ვერავინ იჯერებდა, რომ საოცარი შერლოკ ჰოლმსი მართლა დაიღუპა. კონან დოილმა იგრძნო საყოველთაო უსუსურობა — ის იღებდა წერილებს, რომელშიც თხოვნაც იყო და მუქარაც, ხალხი გმირის გაცოცხლებას ითხოვდა.

მაგრამ მწერალზე ვერავინ მოახდინა გავლენა. ის მთლიანად ჩაიძირა „სერიოზული“ ნაწარმოებებზე მუშაობაში და სამედიცინო პრაქტიკასაც კი დაუბრუნდა. მან მონაწილეობა მიიღო ინგლისელებისა და ბურების ომში, სადაც საველე ქირურგი იყო, მოგვიანებით მონაწილეობდა არჩევნებში, მიიღო რაინდის წოდება და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა. მაგრამ შერლოკი აჩრდილივით უკან დასდევდა თავის შემქმნელს.

ჯიუტმა არტურმა დაწერა „ბასკერვილების ძაღლი“, რომელსაც მკითხველი იმ დროში გადაჰყავს, როცა შერლოკი ცოცხალი იყო. მოთხრობა სუპერწარმატებული გამოვიდა და არტურ კონან დოილი მსოფლიო ილიტერატურის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწერალი გახდა.

შერლოკ ჰოლმსი ლეგენდა ხდება

შერლოკ ჰოლმსი მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ სიცოცხლის ბოლოს კონან დოილი სპირიტიზმმა გაიტაცა. მწერალმა პირველ მსოფლიო ომში ძმა და ვაჟიშვილი დაკარგა და მას სჯეროდა, რომ გარდაცვლილთა სულებთან ურთიერთობა მედიუმების საშუალებით იყო შესაძლებელი. ის აწყობდა სპირიტუალისტების საზოგადოების წევრების შეხვედრებს, იწვევდა ნათელმხილველებს და ბეჭდავდა სპეციალურ ლიტერატურას. შერლოკმა უდიდესი როლი ითამაშა — ამ მაძებარის შესახებ დაწერილ მოთხრობებში გამომცემლები მზად იყვნენ, უზარმაზარი ფული — 1,5 მილიონი დოლარი გადაეხადათ.

კარიერის მანძილზე კონან დოილმა მაძებრისა და მისი მეგობრის შესახებ 60 ამბავი შექმნა. იგი ამ წიგნებს არასერიოზულად თვლიდა და ვერ ხვდებოდა, რა იწვევდა მკითხველის აღფრთოვანებას.

ბოროტი ირონიის წყალობით, ჰოლმსი 100 წლის შემდეგაც მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად რჩება. მას გინესების რეკორდების წიგნში საკუთარი ადგილი უკავია — ჰოლმსისა და ვატსონის შესახებ ფილმების, სერიალებისა და მულტფილმების რაოდენობამ ორასს გადააჭარბა.

ავტორის ბევრი ღირსეული წიგნი შერლოკ ჰოლმსის ჩრდილში დარჩა, მათ შორის მისი არაჩვეულებრივი ისტორიული რომანებიც...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო საქმე
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge